# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№144 (9975) 2025 წლის 27 ოქტომბერი, ორშაბათი




## 6,5 მილიონი დოლარის სახლში შენახვას ოდენ ტარიელ ღარიბაშვილის ოჯახური კლანი თუ შეძლებდა!..

იხ. 3 გვ.





## 1 მილიონი თავისუფლების სანაცვლოდ?!



6 7

## ფრთხილად, გენიოსია!

ინესა მერაბიშვილი:

## გალაკტიონის მზერას მაინც როგორ არ შეუშინდა პლაგიატორი?

## საქმეს წაახდენს რეგვენი...



ავი მუსაიფი გულწრფელი უვიცებისთვის...



იხ. 4 გვ.



## უკიდეგანო პოლიტიკური სიბრიყვე



იხ. 9 გვ.

## სტალინი – გენიალური „დიქტატორი“

## საქართველოს როლი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ისტორიულ შერიგებაში



იხ. 8 გვ.

მშვიდობა კავკასიას!

## ათასობით მედიკამენტს რეგისტრაცია შეუჩერდა

11

## გაჩნდება თუ არა ბაზარზე დეფიციტი?

პროფესიონალიზმის

## დიდი გზა

უნივერსიტეტიდან

## იწყება!

5



# წყალს მანდატი ჩამოჰქონდა...

### შალვა პაპუაშვილი:

## ოპოზიციის რჩეულმა პარტიებმა ელექტორატი მოატყუეს, გამოცხადებული ნდობა და მიღებული მანდატები კი წყალს გაატანეს



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი 2025 წლის საპარლამენტო არჩევნების წლისთავს სოციალურ ქსელში ეხმიანება და წერს, რომ საპარლამენტო არჩევნებიდან, რომელიც რეფერენდუმად გამოაცხადეს, ერთი წელი გავიდა!..**

**„დღეს 26 ოქტომბერია. ერთი წელი გავიდა საპარლამენტო არჩევნებიდან, რომელიც რეფერენდუმად გამოგვიცხადეს, ჩვენი მრავალწლიანი შრომით მოპოვებული მშვიდობისა და განვითარების დასასრულად დაგვიანონსეს და სამეზობლო ომში ჩართვას დაგვპირდნენ. ჩვენ რეფერენდუმის გამოწვევა მივიღეთ და ქართველ ხალხს შევთავაზეთ მიმდინარე გეოპოლიტიკური რეალობისა ყველაზე მკაფიო სურათი მარტივ და გასაგებ ენაზე –**

**არა ომს, კი მშვიდობას.**

**2,1 მილიონზე მეტი ამომრჩეველი მივიდა საარჩევნო ყუთებთან და მათი 54%-ის არჩევანი იყო ერთმნიშვნელოვანი და ხმამაღალი – ჩვენ ვირჩევთ მშვიდობას, უარს ვეუბნებით ომს. თუმცა ეს მარტივი პასუხი გულისხმობდა მრავალ არჩევანზე პასუხს, რომელიც მიმდინარე პოლიტიკური პროცესის განმსაზღვრელად იქცა. ეს არჩევანი, მშვიდობასთან ერთად, იყო ტრადიციული ფასეულობების, ეროვნული ინტერესების, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ეკონომიკური განვითარების, ოჯახის, კულტურის, რწმენისა და მომავალი თაობების სასარგებლოდ მიცემული ხმა. ეს იყო ის შინაარსი, რის დასაცავადაც იბრძოდა „ქართული ოცნება“. იბრძოდა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, იცავდა სახელმწიფოს თვითმყოფადობას და მის უფლებას თავად ემართა საკუთარი თავი. ამ ბრძოლას შეუერთდა საქართველოს 1 120 053 პატრიოტი, რომელთაც უმტკიცესი ნება გამოხატეს და საქართველოს მომავალი განვითარების ვექტორი განსაზღვრეს.**

**26 ოქტომბრის არჩევნები იყო ნამდვილი, ხელშესახები საქართველოს განმსაზღვრელი მომენტი. ჩვენ, ჩვენს ნამდვილ ამომრჩევლებთან ერთად, დავუპირისპირდით არა მხოლოდ შიდა, რევანშისტულ და დესტრუქციულ ძალებს, „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიით გაჟღენთილ მრუდე ოპოზიციას, არამედ მათ წარმმართველ, საგარეო გლობალისტურ ძალებს, რომელთაც საქართველოსთვის გეოპოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე შესაწირი პაიკის როლი დიდი ხნის დაწერილი აქვთ. ამ ძალებმა, ადგილობრივ მოკავშირეებთან ერთად, განგვიცხადეს, რომ უკეთ იციან, რა სჯობს საქართველოსთვის, მისი მომავლისთვის, რა გვაქვს სამეცადინო და ჩასაბარებელი, როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი მომავალი და სად არის ჩვენი ადგილი.**

**სამიათასწლოვან სახელმწიფოს სიბრძნე და გონიერება დაგვიწუნეს და უფსკრულის პირისკენ გვიბიძგეს.**

სწორედ ესაა ის გამრუდებული რეალობა, რომელსაც ჯიუტად და უხეშად გვახვევენ თავს. როდესაც საშიშროებასა და რისკებზე ვლაპარაკობდით, ზოგს არ სჯეროდა, რომ ამგვარი ძალები მართლაც არსებობდნენ. უმცირესობაში მყოფმა სკეპტიკოსებმა დაქსაქსულ ოპოზიციას მხარი დაუჭირეს. მყარად მდგომმა უმრავლესობამ კი „ქართული ოცნება“ და სამშობლოს ეროვნული ინტერესები აირჩია.

26 ოქტომბრის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, სამართლიანი არჩევნების სრულიად უსაფუძვლოდ გაყალბებულად გამოცხადებამ, საპროტესტო ტალღის მორიგ ჯერზე ხელოვნურად აგორებამ, მარიონეტი ოპოზიციონერების მიერ ბოიკოტის გამოცხადებამ და პოლიტიკური პროცესის საბოტაჟმა ოპოზიციის ამომრჩეველთა უმრავლესობა თავის შეცდომაში დაარწმუნა. ოპოზიციის რჩეულმა პარტიებმა ელექტორატი გააბრიყვეს, მოატყუეს, გამოცხადებული ნდობა და მიღებული მანდატები წყალს გაატანეს. როგორც შემდგომმა პროცესმა გვაჩვენა, ხელისუფლებამ გამოიჩინა სიმტკიცე და გონიერება, სამშობლოს მტრები და დამაქცევრები კი საკუთარ მანდატებს იმავე წყალთან ერთად გაჰყვნენ.

ამავე დროს, განვლილ წელიწადში სიახლე და უპრეცედენტო მოვლენა გახლდათ გარკვეული დასავლური ქვეყნებისა და მათი დიპლომატიური მისიების სრულიად უხეში, მზაკვრული და დესტრუქციული ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გაიხსნა ყველაფერი, რაც იყო დაფარული და როგორ გაცხადდა ის გეგმა, რაც საქართველოსთან მიმართებით არსებობდა. ეს გეგმა არ ეხებოდა არც საქართველოს დემოკრატიის მხარდაჭერას, არც ხალხის ნების გამოვლენას, მის გაძლიერებას თუ შემდგომ ინტეგრაციას.

**ეს გეგმა შეიცავდა ნების მიერ ფასად ეროვნული ხელისუფლების შეცვლის სურვილს, რომლის ჩავარდნის შემთხვევაში ერთდროულად უნდა ამოქმედებულიყო ყველა ძალა, გავლენის ყველა აგენტი, ღია თუ ფარული, ყველა მედია თუ „ენჯეო“, უსარგებლო აკაცუკი თუ სასარგებლო იდიოტი. გამრუდებულ რეალობას საგურველი შემოექარცვა და ჩვენ წინაშე მხილებული, შიშველი გუნებით წარმოდგა.**

ნამდვილი საქართველო დაუპირისპირდა ქვეყნის გარეთ ჩაბუდებულ მრუდე ძალებს, რომელთათვისაც ჩვენი ქვეყანა მათი კონკრეტული ინტერესების სათამაშოა. ამ ბრძოლაში ფრონტის ხაზი ჩვენს მოქალაქეებზე გადის. ხალხების გონებისთვის მიმდინარე ომში სწორედ ისინი არიან მთავარი სამიზნე – მათი აზრები, ფიქრები, რწმენა და ქცევა. ზუსტად გათვლილი ფსიქოლოგიური იერიშით, როგორც ბოროტ ძალას სჩვევია, მოწყვლადი პირები დაარწმუნეს, რომ ეროვნული ხელისუფლება თითქოს რუსულია, რომ ომი არ არსებობს, რომ დამარცხებული გამარჯვებულია, ქველმოქმედება ქვეყნის ნგრევაა, ეკონომიკური აღმავლობა კი – სიღარიბე.

2025 წლის 4 ოქტომბერს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომელმაც ყოველგვარ სპეკულაციას, სიცრუეს და სიმრუდეს წერტილი დაუსვა. თავისუფალ გარემოში საქართველოს ერთგული ამომრჩევლები იმავე სიმრავლითა და სულისკვეთებით საარჩევნო უბნებზე მივიდნენ და საკუთარი, უკვე არაერთხელ გამოხატული ნება დაამოწმეს. ლეგიტიმაცია, რომელიც გასული 13 წლის განმავლობაში ცხრაჯერ მივიღეთ, ქართველმა ხალხმა მეათეჯერ გადმოგვცა. სწორედ ამიტომ, დღევანდელ დღეს მსურს, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს ამომრჩეველს, ნამდვილ პატრიოტებს. მადლობა ეკუთვნის ასევე ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციურ ჩარჩოში განვითარებას უჭერს მხარს, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, რომელიც აფასებს მშვიდობას, ახსოვს ისტორიის მწარე გაკვეთილები და უკეთესი ხვალინდელი დღე ეიმედება.

**ჩვენ კი ჩვენს პასუხისმგებლობას და ვალდებულებას ქვეყნის წინაშე არ გავაცრუებთ, არ ვუღალატებთ, ზურგს არ შევაქცევთ. ნამდვილების და მრუდეების ჭიდილში ჩვენ დავიცავთ ნამდვილ საქართველოს მთელი შეძლებით, ცოდნით და მონდომებით, ყველა ხილული თუ უხილავი მტრისაგან და გავასწორებთ ყოველგვარ სიმრუდეს, უსამართლობას და ძალდატანებას“!**

## გერმანიიდან საქართველოში 48 ადამიანის დეპორტაცია განხორციელდა

**როგორც „დოიჩე ველე“ წერს, 23 ოქტომბერს ბრანდერბურგის მიწაზე მდებარე ქალაქ ვიუნსდორფის პოლიცია 2019 წელს გერმანიაში მოკლული საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილის ძმის სახლში მივიდა, რის შემდეგაც ის და ხანგოშვილის სხვა ნათესავები ბერლინის აეროპორტში გადაიყვანეს, საიდანაც მათი საქართველოში დეპორტაცია განხორციელდა.**

**გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ შესრულდა ჩარტერული რეისი თბილისის მიმართულებით და თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდა 48 ადამიანი, რომლებიც გერმანიიდან დეპორტაციას ექვემდებარებოდნენ.**

**ამასთან, უწყებაში უარი თქვეს კონკრეტული პირების დეპორტაციის შესახებ კომენტარის გაკეთებაზე.**

## „ქართული ურანის“ შეძენას ჩინელები ცდილობდნენ...

**თბილისში ორი კილოგრამი ბირთვული მასალის, ურანის უკანონო შეძენის მცდელობისას ჩინეთის სამი მოქალაქე დააკავეს,** – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ **ლაშა მაღრაძემ** ბრიფინგზე განაცხადა.

**დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თბილისში გეგმავდნენ რადიაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენას 400 000 აშშ დოლარად და შემდეგ უკანონო ტრანსპორტირებას ჩინეთში, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის გავლით. დანაშაულებრივი გეგმის განსახორციელებლად ჩინეთის ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რეჟიმის დარღვევით იმყოფებოდა, საქართველოში ჩამოიყვანა ურანის შეძენით დაინტერესებული ექსპერტები და ქვეყნის მასშტაბით აქტიურად დაიწყო ბირთვული მასალის მოძიება. უკანონო გარიგების დეტალებზე მოლაპარაკების პროცესში მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზების შედეგად მოხდა დამნაშავე პირების იდენტიფიცირება და მათი დაკავება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 10-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“!**



# 6,5 მილიონი დოლარის სახლში შენახვას ოდენ ტარიელ ღარიბაშვილის ოჯახური კლანი თუ შეძლებდა!..

**ყოფილ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 1-მილიონიანი გირაო შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ეკა ბარბაქაძის გადაწყვეტილებით, ღარიბაშვილს სხვა დამატებითი ღონისძიებებიც დაუწესდა. კერძოდ, მას პასპორტი ჩამოერთვა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა აეკრძალა. მანამდე, ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბრალი წარუდგინეს.**

**როგორც ვიცით, საგანგებო ბრიფინგზე გენერალურმა პროკურორმა, გიორგი გვარაკიძემ ღარიბაშვილის ბრალზე ისაუბრა და თქვა, რომ ექს-პრემიერს ბრალად ედება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. გვარაკიძემ იქვე დასძინა, რომ ღარიბაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ. პროკურატურამ სასამართლოს მიმართა, აღკვეთის ღონისძიების სახით 1 მლნ ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების შუამდგომლობით, რომლის უზრუნველყოფაც შესაძლებელია, როგორც ფულადი თანხით, ასევე უძრავი ქონებით.**



ტარიელ ღარიბაშვილი

სუს-ის ანტიკორუფციული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც 2019-2024 წლებში იკავებდა რა, საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობებს, წარმოადგენდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირს, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესიდან გამომდინარე, ეკრძალებოდა ნებისმიერი ტიპის სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა და თანამდებობრივი სარგოს გარდა, სხვა ანაზღაურების მიღება. მიუხედავად აღნიშნულისა, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ირაკლი ღარიბაშვილი ფარულად და შენიღბულად, აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა ტიპის ბიზნესსაქმიანობას და იღებდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, არალეგალური წარმომავლობის შემოსავლებს. მას, როგორც თანამდებობის პირს, გააჩნდა, როგორც შემოსავლების, ისე გაწეული ხარჯების დეკლარირების ვალდებულება.

ზემოხსენებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მიზნით, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ წარდგენილ დეკლარაციებში უთითებდა ყალბ მონაცემებს, თითქოს, ოჯახის წევრისგან, ყოველწლიურად, საჩუქრად იღებდა დიდი ოდენობით თანხას. აღნიშნული გზით, წარმომავლობა ხელოვნურად შეექმნა მის მიერ კერძო ბიზნესში არალეგალურად მონაწილეობის შედეგად მიღებულ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის ნაწილს – 830 000 ლარს, რაც მოექცა ლეგალურ ბრუნვაში.

**გარდა აღნიშნულისა, დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მისაცემად, ირაკლი ღარიბაშვილმა 2023-2024 წლებში შეიძინა და მასთან დაკავშირებული პირის სახელზე დაარეგისტრირა 463 630 ლარად ღირებული ორი ავტომანქანა, ასევე, ოჯახის წევრის მეშვეობით, 210 000 ლარად შეიძინა ერთ-ერთი კომპანიის 100%-იანი წილი, რომელსაც საკუთრებაში გააჩნდა უძრავი ქონება. პარალელურად, მისი ოჯახის წევრის სახელზე რეგისტრირებულ შპს-ში ინვესტირებულ იქნა ჯამში 3 670 172 ლარი.**

**ამავდროულად, დაუსაბუთებელი თანხის ძირითადი ნაწილი მისი ნამდვილი ბუნებისა და წარმოშობის წყაროს შენიღბვის მიზნით, დააკონვერტირა უცხოურ ვალუტაში, რის შედეგადაც მიღებული 6 500 000 აშშ დოლარი აღმოჩენილი და ამოღებული იქნა 2025 წლის 17 ოქტომბერს, ღარიბაშვილის ბინის ჩხრეკის შედეგად.**

**ასე გამოიყურება ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბრალდების საქმე.**




ბრალის წარდგენიდან რამდენიმე საათში, ჩაინიშნა სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალდებული ღარიბაშვილიც დაესწრო. ყოფილი პრემიერი სასამართლოს შენობაში არა ცენტრალური, არამედ გვერდითა შესასვლელიდან შევიდა, ამავე შესასვლელიდან დატოვა ტერიტორია და შესაბამისად, ჟურნალისტებს მასთან კითხვის დასმის შესაძლებლობა არ მიეცათ.

ადვოკატების პოზიციის მოსმენის შემდეგ, მოსამართლე ეკა ბარბაქაძემ კითხვით მიმართა ბრალდებულს, ეთანხმებოდა თუ არა ადვოკატების პოზიციას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოსა და შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზეც ასე უპასუხა: **„ვეთანხმები, რა თქმა უნდა“**. მოსამართლის მორიგ კითხვაზე, სურდა თუ არა მას დამატებით რამის თქმა, ღარიბაშვილმა უპასუხა, რომ **„არა“**. ასე დასრულდა ამ ეტაპზე ღარიბაშვილის საქმე. სასამართლო დარბაზიდან გამოსულმა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს პასუხი გასცა მხოლოდ ერთადერთ კითხვაზე: **„მისცა თუ არა ვინმეს წინააღმდეგ ჩვენება?“ – „არავის წინააღმდეგ არ მიმიცია ჩვენება“**, – თქვა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

ღარიბაშვილის ადვოკატის ლილი გელაშვილის განცხადებით, ღარიბაშვილს ძირითადად ღვინის ინდუსტრია ჰქონდა, ეს იყო ღვინის ქარხნები, რომლის ხელმძღვანელიც არის მისი მამა **ტარიელ ღარიბაშვილი.** საუბარია 2016 წლიდან პერიოდზე, როცა ის პრემიერად მეორედ დაბრუნდა. ამასთან, ადვოკატმა განმარტა, თუ რა პერიოდის ჩათვლით ედავებიან ღარიბაშვილს დაუსაბუთებელ ქონებას.

**„ირაკლი ღარიბაშვილს ბრალი წარედგინა არა სხვა თანამდებობის პირების მიმართ თანამშრომლობის, არა მათთან რამე დანაშაულებრივი კავშირის, არა რამე განზრახვის, ბიზნეს-დატერორების და ა.შ. შესახებ, არამედ მას ბრალი წარედგინა კონკრეტულად, 2016 წლის შემდეგ პერიოდზე, როდესაც ის პირველად იყო პრემიერ-მინისტრი და დატოვა თანამდებობა – ის წავიდა კერძო ბიზნესში, ჩინურ სოლიდურ კომპანიასთან ჰქონდა ურთიერთობა, საიდანაც ჰქონდა ძალიან სოლიდური შემოსავლები.**

**ჰქონდა კერძო ბიზნესი, ამ ბიზნესის წარმოების დროს, მეორედ მოხდა ირაკლი ღარიბაშვილის მობრუნება პოლიტიკაში და ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რა ვითარებაში და რა პირობებში მოხდა ეს ყველაფერი. მას ეს არ სურდა, ეს არ იყო მისი მიზანი, ანუ თანამდებობაზე დაბრუნება აიძულეს! დავა არის 2016 წლიდან დღემდე პერიოდში ბიზნესწარმოების, მისი საკუთარი ბიზნესიდან შემოსული თანხების შესახებ – აი, ეს არის სწორედ დაუსაბუთებელი ქონება და ამ პერიოდს მოიცავს, ამიტომ აქვს წარდგენილი ბრალი და აი, ეს აღიარა. საკუთარ ბიზნესში არავინ ეხმარებოდა. ღვინის ინდუსტრია იყო, ძირითადად, ეს იყო ღვინის ქარხნები, რომლის ხელმძღვანელი არის მისი მამა ტარიელ ღარიბაშვილი“**, – განაცხადა ლილი გელაშვილმა.

**ყოფილი პრემიერის წინააღმდეგ გამოძიება გრძელდება, მას ჩამოერთვა პასპორტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ახლა სახლიდან დააკვირდება პროცესებს. ამავე დროს, მან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს 1 მილიონი ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასაპატიმრო ღონისძიება შეიცვლება საპატიმრო ღონისძიებით...**

თამთა ქარჩავა

**პრემიერს ძვირად-ღირებული მაჯის საათებიც ძალიან ჰყვარებია!**





# უკიდეგანო პოლიტიკური სიბრიყვე

**ადამიანის ფანტაზია გალაქტიკასავით უსაზღვროა და რას არ მოინდომებს ოცნებებს აყოლილი კაცი.**

**ასეთი უსაფუძვლო აქვიატების მკაფიო მაგალითია ყოფილი სახელისუფლებო პარტიის ბაზაზე დაფუძნებული რევანშისტების მიერ ინიცირებული ხელისუფლების მშვიდობიანი დამხობის მკვდრადშობილი იდეა, რომელმაც სრული ფიასკო განიცადა.**

**საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო. გვასწავლის ხალხური სიბრძნე. ახლა, როცა მეამბოხეთა ზრახვები გაშიფრულია და უცხოეთის აგენტურასთან დანაშაულებრივი კავშირები გამორკვეული, ხელმოცარული პოლიტიკოსები ურთიერთბრალდებით არიან დაკავებულნი.**



**კლეპტომანიაში მხილებული სალო ზურაბიშვილი, რომელმაც ორბელიანების სასახლიდან პრეზიდენტის შტანდარტი მოიპარა, პაატა ბურჭულაძის რევოლუციური კომიტეტისკენ იშვერს ხელს – შესაძლო რისკები ვერ გათვალეს და ხელისუფლების მიერ დაგებულ ხაფანგში აღმოჩნდნენ გაგმულიო!**

სხვათა შორის, მეხუთე პრეზიდენტის ამ შეფასებას თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი, რომელსაც „ქართული ოცნების“ მიმართ კეთილგანწყობას ვერავინ დააბრალებს: ოპოზიცია თვითდინებით, საკუთარი სურვილით გაება ხელისუფლების მიერ დაგებულ ხაფანგშიო!

ისე, გულწრფელად მაინტერესებს, როცა სახელმწიფო გადატრიალების თარიღი წინსწრებით იყო ცნობილი, ორბელიანების სასახლეში ხაფანგი უნდა ყოფილიყო დაგებული თუ წითელი ხალიჩები?!

დემოკრატიის მისაღწევად რევოლუცია საჭირო არ არის. დემოკრატია მხოლოდ რევოლუციის მოსახდენად არის საჭიროო, გონებამახვილურად თქვა თავის დროზე ჯილბერტ ჩესტერტონმა. თქვენი მონა-მორჩილის სუბიექტური აზრით, სწორედ დემოკრატიის გაუკუღმართებულმა გაგებამ მიგვიყვანა იმ აბსურდულ მდგომარეობამდე, როცა რამდენიმე ასეული პროტესტანტი დედაქალაქის მთავარი არტერიის პარალიზებას ახდენს და მუდმივ სტრესულ მდგომარეობაში აყენებს იმ მშვიდობიან მოსახლეობას, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკურ გაჯანსაღებას უნდა შეუწყოს ხელი.

სისხლის სამართალი ქმედების სამართალია და თუ ადამიანი კონკრეტულ დანაშაულს არ ჩაიდენს, მხოლოდ სუბიექტური განწყობის გამოპასუხისგებაში ვერ მისცემ, მაგრამ არც ზედმეტი ლოიალობა მგონია გამართლებული.

**მართალია, უნებლიეთ, მაგრამ რადიკალურმა ოპოზიციამ აიძულა ხელისუფლება, მიეღო ეფექტური ზომები და 4 ოქტომბრის დრამატული მოვლენების შემდეგ, დაჩქარებულ რეჟიმში მიმდინარეობს იურიდიულ-საკანონმდებლო ბაზის რეფორმირების პროცესი. ხატოვნად თუ ვიტყვით, ხელისუფლება აიძულეს, წამოეწყო „ავი მუსაიფი“ იმ კატეგორიის რევანშისტების მიმართ, რომლებიც სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებასა და სპეცსამსახურების თანამშრომელთა მოსყიდვა-გადაბირების მცდელობაში არიან ეჭვმიტანილნი.**



ბოლოდროინდელი ვითარებიის ანალიზის საფუძველზე ლოგიკურად დაისმის კითხვა, თუ რა გარემოებების ერთობლიობამ მიიყვანა მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი **პაატა ბურჭულაძე** იმ სავალალო მდგომარეობამდე, რომ საპატიმროში ამოყო თავი და, თუ კანონმა იკანონა, ხანგრძლივი დროით მოუწევს ვირის აბანოში ყოფნა?

ვფიქრობ, სხვა სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, ამის მთავარი მიზეზი გახლავთ პოლიტიკური უვიცობა და ამაში უჩვეულო არაფერია, რადგან პოლიტიკა, როგორც პარადოქსების მეცნიერება საოპერო არიასავით მოკლე დროში არ ისწავლება. ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები წლოვანება – ბატონმა ბურჭულაძემ უკვე სამოცდაათს გადააჭარბა, რასაც კრიტიკულ ასაკად მიიჩნევდა დავით გურამიშვილი:

**„ვით ძნიად წნორი ბერფუყი**
**დაიგრიხების წნელადა,**
**ეგრეთვე კაცი მხცოვანი**
**განისწავლების ძნელადა“...**

ვერ გეტყვით, კომფორტულ ცხოვრებას მიჩვეული მსოფლიო თუ რუსული ბანი როგორ შეეგუა ციხის პირობებს, მაგრამ სამიოდე წლის წინათ იგი ნებაყოფლობით რომ აპირებდა „ქართული ოცნების“ მიერ გაკეთილშობილებული სასჯელაღსრულების სისტემაში მოხვედრას, ამის თქმა დადასტურებულად შეგვიძლია: **„ყველაფერს აქვს საზღვარი! ამის მოთმენა აღარ შეიძლება! მე არ მინდა, ვიყო მესამე პრეზიდენტის მკვლელობის თანამონაწილე. „ქართულო ოცნებავ“, ყველაფერში არღვევთ კანონებს, ითვისებთ წაგებულ არჩევნებს, იჭერთ უდანაშაულო ადამიანებს და თქვენივე კუთვნილი სასამართლოთი თქვენებურად ასამართლებთ. გთხოვთ, კიდევ ერთხელ დაარღვიოთ კანონი და მომცეთ საშუალება, ჩავანაცვლო მესამე პრეზიდენტი ციხეში“.**

შეუძლებელია, ბატონ ბურჭულაძეს არ დაეთანხმოთ იმაში, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის, სახელმწიფოს, რომლის უკანონო გადმოკვეთაშია ბრალდებული მისი ფავორიტი მესამე პრეზიდენტი! როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინ ხელისუფლებამ კანონი არ დაარღვია და ე.წ. ჩანაცვლების პროცედურა თავიდან აიცილა, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და 4 ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ინიციატორი კანონის სრული დაცვით აიყვანეს პატიმრობაში.

ბურჭულაძისგან განსხვავებით, გამოცდი-



## ავი მუსაიფი გულწრფელი უვიცებისთვის...

ლება არ აკლია ეპატაჟურობით ცნობილ **ალეკო ელისაშვილს**, რომელმაც თავისი უპასუხისმგებლო განცხადებით აქამდე არსებული პოლიტიკური უვიცობის ყველა რეკორდი მოხსნა: მე და ირაკლი კუპრაძეს არჩევნებში გამარჯვებაში თუ დაგვეხმარებით, ყველა კომუნალურ სამსახურს ბოიკოტის რეჟიმში გადავიყვანთ და ხელისუფლების ჯიბრზე, დედაქალაქის სრულ პარალიზებას გამოვიწვევთო!

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ასეთი მდაბიო საქციელი წალენჯიხის ოპოზიციონერ მერს **გია ხარჩილავასაც** კი არ ჩაუდენია 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ და ავად თუ კარგად, ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

**ზოგადად, კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის ჩინოსნები პერსონალური პასუხისმგებლობით რომ არ გამოირჩევიან, თინათინ ბოკუჩავამაც დაადასტურა, რომელმაც ჟურნალისტის კითხვა, 4 ოქტომბრის მოვლენების გამო პასუხისმგებლობას თუ გრძნობთო, დამაზუსტებელი კითხვითვე უპასუხა: მე?**

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, პასუხი არის „სიტყვის შექცევა“, მაგრამ ქალბატონი თინათინი, ისევე როგორც მისდამი რწმუნებული პარტიის იდეოლოგიით ნასაზრდოები გიორგი რუხაძე, რომელმაც მშობლიურ ენას ყურადღება დაუწუნა, თავანკარა ქართულს ამრეზით უყურებს!

**სახელმწიფო გადატრიალებაზე მეოცნებე რევანშისტებმა უნდა იცოდნენ, რომ რევოლუციის მოწყობას პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება და თავგანწირვა სჭირდება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტებია ფინანსურ და იდეოლოგიურ უზრუნველყოფასთან ერთად. ნიკა გვარამიას, ნიკა მელიას, ჭიჭე ვაშაძეს, გირჩი ჯაფარიძეს, ელენე ხოშტარიას, ლევან ხაბეიშვილს და ლენტორ კუპრავას გარე ბიძაშვილს ზვიად კუპრავას თავგანწირვის მზაობა რომ ჰქონოდათ, ციხეში კი არ წავიდოდნენ ნებაყოფლობით, სააკაშვილის მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას ამოუდგებოდნენ გვერდით, რომელიც უშედეგოდ ცდილობდა მამაკაცური ძალის კონცენტრაციას ორბელიანების მოედანზე!**

საქართველოს რესპუბლიკა

ზემოთ გია ხუხაშვილის კატეგორიულ პოზიციაზე გვქონდა საუბარი, თუმცა, არანაკლებად დაუნდობლები იყვნენ შეფასებაში მისი კოლეგები: **ვახტანგ ძაბირაძე** და **დავით ზურაბიშვილი.** საქმე გვაქვს უკიდეგანო პოლიტიკურ სიბრიყვესთანო, ბრძანა ბატონმა ძაბირაძემ, ხოლო დავით ზურაბიშვილმა მიამიტობაში დასდო ბრალი რევოლუციური კომიტეტის მთავარ ფიგურანტებს: „ბურჭულაძე და ზოდელავა გულწრფელები იყვნენ, მაგრამ გულწრფელები – თავიანთ უვიცობაში“.

ცხადია, მტკიცებითი ფორმით ვერ ვიტყვი, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პროფესორ მარინა ჩიტაშვილის შეფასებაშიც შეინიშნებოდა იმედგაცრუება, ნავარაუდები მიზნების არასრულყოფილად განხორციელების გამო, რასაც ასევე მწვავედ განიცდიან ჩვენებური ოპოზიციის ევროპულ-ამერიკული გულშემატკივრები...

**კარგად მესმის მშვიდობისმოყვარე იმ ქართველების, რომლებიც გულისწყრომას გამოხატავენ ევროკომისიის პრესსპიკერის ანიტა ჰიპერის უტიფარი პოზიციის გამო, ასეთი აღშფოთება მაინც გადაჭარბებული მგონია. ქალბატონი ჰიპერი ისეთივე უუფლებო პერსონაა ევროკომისიაში, როგორი ყურმოჭრილი მარიონეტიც მეთიუ მილერი იყო ქართველთმოძულე ენტონი ბლინკენის სახელმწიფო დეპარტამენტში.**

**როგორც ილია იტყოდა, ჩვენ პირთან საქმე არ გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზე ვწერთ და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საზოგადო ჭირი ის ევრობიუროკრატიაა, რომელიც პოზიციის გამხმოვანებული გახლავთ ნაციონალების გულმხურვალე მხარდამჭერი ანიტა რაჭველიშვილის სეხნია, ჰიპერაქტიური ევიგონი ანიტა ჰიპერი!**

საბჭოთა პერიოდის სოფლის კლუბის კარივით მუდმივად ღია პირიდან კიდევ ერთხელ გადმოანთხია გესლი მკვდრადშობილი „მეგობარი აქტის“ ინიციატორ მაჯო უილსონმა, რომელმაც თავს უფლება მისცა, მთელი ამერიკელი ხალხის სახელით გამოეხატა მხარდაჭერა 4 ოქტომბრის არშემდგარი გადატრიალების მიზნით შეკრებილი აქციის მონაწილეებისთვის. აი, რას ნიშნავს გრიგოლ გეგელიას სკოლა!

გასულ ზაფხულს აშშ-ში ვიზიტისას, ხაზარაძის მარჯვენა ხელი და ქართული პოლიტიკის „ამომავალი ვარსკვლავი“ ჩვენი სახელითაც მიესალმა ლეგალურ მექრთამეს – ქართველი ხალხი თქვენ გაღმერთებსო!

**ამდენი პარადოქსისა და უთავბოლო მიეთ-მოეთების მიუხედავად, ერთი პოზიტივი მაინც შეინიშნება 2025 წლის არჩევნებთან დაკავშირებით. გასული წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, საარჩევნო პროცედურების უხეშ ხელყოფასა და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევაზე კატეგორიული ტონით აღარ საუბრობენ ხელისუფლების ოპონენტები.**

**მინდა, მჯეროდეს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლებიც დაეუფლებიან მარცხის აღიარების ხელოვნებას.**



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**წყალტუბო-ჩუნეში**

# პროფესიონალიზმის დიდი გზა უნივერსიტეტიდან იწყება!



**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.**

მინისტრმა ახალგაზრდებს სწავლის დასრულება მიულოცა, განათლებული მომავალი თაობების აღზრდის საქმეში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლზე ისაუბრა და პროფესორ-მასწავლებლებს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის.

**„თქვენ ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი დაასრულეთ და დიდ სფეროში შეაბიჯეთ, სადაც ცოდნის რეალიზება და კარიერული წინსვლა გელოდებათ. თქვენ წინაშე ვდგავარ არა როგორც მინისტრი, არამედ როგორც ლექტორი და თქვენი დიდი გულშემატკივარი. გახსოვდეთ, რომ ახალგაზრდების მხარდაჭერა და თქვენი ინიციატივების ხელშეწყობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გქონდეთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისთვის ფართო ასპარეზი.**

**მჯერა, როგორ ღირსეულადაც დაასრულეთ ცხოვრების ეს ეტაპი, ასევე, ღირსეულად გააგრძელებთ მუშაობას და უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნასა და პროფესიონალიზმს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოიყენებთ,“** – განაცხადა **გივი მიქანაძემ.**




მინისტრმა ხაზი გაუსვა უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდის მნიშვნელობას და უნივერსიტეტების განვითარების მხარდაჭერას. მისი თქმით, განათლება საუკეთესო ინვესტიციაა, სწორედ ამიტომ, განათლების სისტემის რეფორმა და მისი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია.

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა და სტუდენტებს სწავლის დასრულება მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა **კახაბერ კორძაიამ.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. უნივერსიტეტში 5 ფაკულტეტი ფუნქციონირებს, სადაც სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და პროგრამების გამოყენებით კონკურენტუნარიანი კადრები ყალიბდებიან...**



# გერმანიის ქალაქების მთავარ მოედნებსა და გამზირებზე საქართველოს სარეკლამო ბანერებია განთავსებული

**გერმანიაში საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ მასშტაბური კამპანია მიმდინარეობს.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, კამპანიის ფარგლებში, გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ტელევიზიების: ZDF-ის, VOX-ის, n-tv-სა და Sky-ის ეთერით საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ვიდეორგოლის ჩვენება მიმდინარეობს. მათივე ცნობით, პარალელურად გერმანიის დიდ ქალაქებში, მთავარ მოედნებსა და ცენტრალურ გამზირებზე საქართველოს ზამთრის კურორტებისა და ქვეყნის ტურისტული პროდუქტების შესახებ სარეკლამო ბანერებია განთავსებული.




# 28 ოქტომბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით „თბილისის ბაროკო ფესტივალი“ გაიმართება

**საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიის, იტალიის საელჩოსა და ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით, 28 ოქტომბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით, „საქართველოს სინფონიეტა“ რიგით მე-11 „თბილისის ბაროკო ფესტივალს“ გამართავს.**

როგორც „საქართველოს სინფონიეტას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეა მუქერიამ აცნობა, ფესტივალის ფარგლებში 10 კონცერტი ჩატარდება, „საქართველოს სინფონიეტასა“ და სხვა ქართველ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოში აღიარებული ბაროკოს მუსიკის შემსრულებლები, მათ შორის: **ანდრეას შოლი** (კონტრტენორი / გერმანია), **ჯულია ბოლკატო** (სოპრანო / იტალია), **კორნელია ფონ კერსენბროკი** (დირიჟორი / გერმანია), „ჰელსინკის ბაროკოს ორკესტრი“, **ააპო ჰეკინენი** (კლავესინი / ფინეთი), **ლეილა შაიეგი** (ვიოლინო/ შვეიცარია), **ვალენტინ ტურნე** (ვიოლა და გამბა / საფრანგეთი), **კრისტინე ბუში** (ვიოლინო / გერმანია), **დოროთე მილდსი** (სოპრანო / გერმანია), **ფრანჩესკო ჩერა** (კლავესინი, ორგანი, დირიჟორი / იტალია), **დიეგო კანტალუპი** (თეორბო, ბაროკოს გიტარა / იტალია), **ფოლკლორული ანსამბლი „შავნაბადა“** და **„თბილისის ქალთა გუნდი“.**




„თბილისის ბაროკო ფესტივალი“ ნოემბერში გაგრძელდება და რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე გადაინაცვლებს, სადაც კონცერტები გაიმართება: 9, 12, 18, 24, 27, 30 ნოემბერს და 2 დეკემბერს. 7 დეკემბერს კი ფესტივალი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაიხურება.

# აღიარებული იტალიელი ავტორი დაჩა მარაინი თბილისში



**მწერალთა სახლის მოწვევით და საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით, ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში აღიარებული იტალიელი ავტორი დაჩა მარაინი სტუმრობს.**

ცნობილი პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, რეჟისორი, სცენარისტი, პუბლიცისტი, კინოდოკუმენტალისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი, მწერალთა სახლში ქართველ მკითხველს შეხვდა და საკუთარი წიგნი – „წერის სიყვარული“ წარადგინა.

**წინამდებარე პუბლიკაციის მომზადება გამოიწვია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მრავალწლიანი პროფესიული კვლევისა და მნიშვნელოვანი მიგნებების მიტაცების ფაქტმა. სტატიის დიდ ნაწილს თავად გალაკტიონზე საუბარსა და მსჯელობას დავუთმობ, რათა მე და ჩემი მკითხველი არ დავცილდეთ იმ აღმაფრენას, რომელსაც დიდი პოეტით შთაგონებული კვლევა გვთავაზობს.**

**იმედია, მკითხველს ახსოვს, რომ ჩემი ბოლოდროინდელი საგაზეთო სტატიაც „გალაკტიონის ფენომენი“ სწორედ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა.**



# გალაკტიონის მზერას მაინც როგორ არ შეუშინდა პლაგიატორი?

**როდესაც ტექნიკური და პოლიტიკური რევოლუციების მომასწავებელმა ძლიერმა ქარმა დაბერა, ხელოვნება ახალი გზებისა და ფორმების ძიებაში გააფთრებული გამოიყურებოდა და სამყაროს გამრუდებული ხედვა მოდად ქცეულიყო. მხატვრები და პოეტები შვებას ხშირად ესთეტიკურად უჩვეულო ხატებსა და სიმბოლოებში პოვებდნენ. ფრანგულმა და ევროპულმა ავანგარდმა, იქნებოდა ეს ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, დადაიზმი თუ სიურრეალიზმი, ქართველ ლიტერატორთა და ხელოვანთა წარმოსახვაშიც შემოაღწია.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსული „ზაუმისა“ და ფუტურიზმის გავლენა. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, გამოძახილი იყო იტალიური ფუტურიზმისა, რომელიც ძალადობას ეტრფოდა და ომს განადიდებდა. დადაიზმი უარყოფდა ესთეტიკას და ამიტომაც მას ანტიხელოვნებად მიიჩნევდნენ. ამიტომაც იყო, რომ სალვადორ დალიმ თავის შედევრებში გამოშიგნა ადამიანი, ხოლო პაბლო პიკასომ დაანგრია ადამიანის სახე საოცარი ფერებით გამორჩეული, თუმც ძალზედ უცნაური და მშვენიერი კუბებით. ამიტომაც იტყვის ტომას ელიოტი, ჩვენ გამოშიგნული ადამიანები ვართ.

ბუნებრივია, ყოველივე ეს იყო გამოძახილი იმდროინდელ სამყაროში არსებული კატაკლიზმებისა.

ახლა თავად გალაკტიონს მოვუსმინოთ:

**„შეხედეთ თანამედროვე ადამიანს, მისმა უკანასკნელთა საზღვართა ძებნამ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას... საქართველოს ყოველ კუთხეში იპოვით თქვენ ნანგრევს წარსულისას, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერსად იპოვით! აირჩიეთ ორში ერთი:**

**განახლება ან სიკვდილი!“**

გალაკტიონი განახლებას ირჩევს!

იმ დროს, როდესაც გალაკტიონს კარგად მოეხსენებოდა მისი თანამედროვე დასავლური ხელოვნების ყველა მიმართულება, პოეტი ქართული ლექსის ტრადიციების ერთგული დარჩა და ავანგარდიზმს დაახვედრა განახლებული, მაგრამ ჭეშმარიტად ჰარმონიული სამყარო, რომელიც სიბრძნესა და კეთილშობილებაზე აღმოცენდა და მას სახელად რწმენის, სიყვარულის, ზნეობის, მშვენიერების, სამშობლოსათვის თავდადების, მშვიდობის ქადაგებისა და თავისუფლებისადმი ტრფიალის ჰარმონია ჰქვია. ამასთანავე, გალაკტიონს სწამდა, რომ მის მიერ ქართულ ენაზე შექმნილ პოეტურ სამყაროს ქვეყნიერების გადარჩენა შეეძლო:

**მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,**
**რომ გამომევლო ჯერ არსმენილი**
**ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა**
**და მომეტანა საქართველოში**
**სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.**

(„პროლოგი ასი ლექსის“)

კონსტანტინე გამსახურდიამ ბრძანა: **„მე, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ – გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც მთელ პლანეტას არ მოეპოვება“.**

ჩემი მიზანი იყო, გალაკტიონი შემეფასებინა არა მხოლოდ როგორც ვირტუოზი პოეტი, არამედ, როგორც მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი მოაზროვნე. ასეთი გალაკტიონი, უპირველესად, დასავლეთს გავაცანი, რადგან მათთვის უცნობი გენიოსი პოეტი დღეს სწორედ მათგან საჭიროებს აღიარებას.

2011 წელს ბრიტანული აკადემიური და არისტოკრატიული წრეების ძალისხმევით ლონდონში დიდი საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა გალაკტიონის 120 წლისთავი. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დასავლეთმა დიდ ქართველს იუბილე გადაუხადა. დარბაზი განსაკუთრებული მოწიწებით მაშინ განიმსჭვალა, როცა ეკრანზე ჭყვიშის ქოხი გამოჩნდა. აი, რა ბრძანა იქ ერთ-ერთმა ლორდმა და მწერალმა: **„გალაკტიონი ჩვენგან ძალიან შორს, ერთ ქართულ სოფელში, პატარა ქოხში დაიბადა, მაგრამ მისი 120 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს დღეს ლონდონის ერთ-ერთ სასახლეში ვზეიმობთ“.**

* * *

**2011 წლიდან მოყოლებული, ლონდონი გამოსცემს გალაკტიონის პოეტურ კრებულებს ჩემს ინგლისურ თარგმანში. ამასთანავე, 1993 წლიდან საქართველოში, ხოლო 2004 წლიდან დიდ ბრიტანეთში, შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, თავად ევროპის საბჭოში, ვატარებ საჯარო ლექციებს, ვაქვეყნებ სტატიებსა და წიგნებს გალაკტიონზე.**

მკითხველისთვის, განსაკუთრებით ღირებულია იმ ორი გარღვევის შეცნობა, რომელიც ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღეთ: პირველი გახლავთ გალაკტიონის ენიგმების, როგორც უჩვეულო შესიტყვებების(მაგ., „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, „გადაუგდო ნიავს ყელი“, „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“) და სიმბოლოების გახსნა, რაშიც დიდი სამსახური გამიწია ლინგვისტურმა, საკუთრივ, სემური ანალიზის მეთოდმა. მეორე გახლავთ – გალაკტიონის შემოქმედებაში მერის პროტოტიპის დადგენა. ამ საკითხებს 2003 წელს მივუძღვენი მონოგრაფია „გალაკტიონის ენიგმები“ (315გვ.), ხოლო 2012 წელს გამოვეცი მონოგრაფია „გალაკტიონის Meri – პროტოტიპის ძიება“ (270 გვ.), რომელმაც თავი მოუყარა იმ დროისათვის მერის საკითხის კვლევის ყველა შედეგს.

* * *

**გამომდინარე იქიდან, რომ პლაგიატორი მხოლოდ მერის თემის მითვისებას ცდილობს, მოკლედ მოგახსენებთ, თუ რაში მდგომარეობს ჩემი მეცნიერული მიგნება.**

ლექსი „მერი“ გალაკტიონმა პირველად 1915 წელს გამოაქვეყნა, მაგრამ მის შემოქმედებაში არსებობს კიდევ არაერთი ლექსი, რომელიც მერისადმი მიძღვნილ ციკლში ერთიანდება. საქართველოში დღემდე ცოცხლობს ლეგენდა, რომ მერისადმი მიძღვნილი გალაკტიონის ყველა ლექსი შთაგონებულია პოეტის თანამედროვე უმშვენიერესი მერი შერვაშიძით, რომელიც ერთხანს ცხოვრობდა ქუთაისში, იყო ფრეილინა რუსეთის მეფის კარზე, ხოლო შემდეგ იქორწინა გიგუშა ერისთავზე და სამუდამოდ გაემგზავრა პარიზს.

მერი შერვაშიძისა და გალაკტიონის ლეგენდის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი შემდეგმა მოვლენამ: 1966 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ და მაღალავტორიტეტულმა სარედაქციო კოლეგიამ გამოსცა გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის პირველი ტომი, სადაც ლექსს „მერი“ დაურთო კომენტარი და შავით თეთრზე აღნიშნა, რომ ლექსი, რომელიც პირველად დაისტამბა 1915 წელს, შთაგონებულია მერი შერვაშიძის სამუდამო დაკარ-



ბაირონი

გვით, როდესაც მან 1915 წელს, თამარობა დღეს, ჯვარი დაიწერა გიგუშა ერისთავზე.

ამავე ტომში შესულია ლექსი „მერის თვალებით“, რომელიც წარმოდგენილია თარიღით – 1916 წელი. კომენტარი გვამცნობს, რომ ლექსი პირველად გამოქვეყნებულა 1937 წელს, რამაც საბაბი მისცა რედაქციას, დაესკვნა შემდეგი: 1935 წელს, როდესაც გალაკტიონი რამდენიმე დღით იმყოფებოდა პარიზში, კომინტერნის ყრილობაზე, მან შემთხვევით თვალი მოკრა მერი შერვაშიძეს. ამდენად, ლეგენდა გალაკტიონის ტრფიალისა მერი შერვაშიძისადმი კიდევ უფრო განმტკიცდა.

* * *

**1983 წელს მწერალმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა სერგი ჭილაიამ გაზეთ „კომუნისტის“ 11 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ლეგენდად დარჩეს“, სადაც ნათქვამია, რომ მერი შერვაშიძემ გიგუშა ერისთავზე იქორწინა საქართველოში არა 1915-ში, არამედ 1918 წელს. ლიტერატორი თავადვე შეეცადა ამ ფაქტისათვის ახსნა მოენახა: გალაკტიონი იმდენად ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დიდებული ქალიშვილი ღარიბ პოეტს არ მისთხოვდებოდა, მან იწინასწარმეტყველა მერის ჯვრისწერა და დაიტირა კიდეც თავისი ბედი.**

ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობას ვუცხადებ სერგი ჭილაიას, რომელმაც ლიტერატურულ სიცრუეს რაინდულად დაუპირისპირა სიმართლე და გზა გაუხსნა შემდგომ კვლევას.

იმ დროისთვის, როცა სერგი ჭილაიას წერილი დაიბეჭდა, მე უკვე ღრმად ჩახედული გახლდით ბაირონის შემოქმედებაში და კარგად მომეხსენებოდა დიდი ინგლისელის უპრეცედენტო გავლენა ევროპულ და რუსულ პოეზიაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად კულტურაზე, პოლიტიკასა და ისტორიაზე. ბაირონის გავლენას მძაფრად განიცდიდა ყველა დიდი ქართველი მოაზროვნე და პოეტი, დაწყებული მისი თანამედროვე ალექსანდრე ჭავჭავაძიდან, გალაკტიონ ტაბიძით დამთავრებული. ამ გავლენის წყალობით გალაკტიონმა სასწაულები მოახდინა. გავლენათა ამ დიდ კასკადში ყოველთვის გამოირჩეოდა ბაირონის მერი – ის, რაც მართლაც პოეტის ცხოვრების უპასუხო სიყვარულზე აღმოცენდა და დიდ ლიტერატურულ სახედ გადაიქცა გენიოსი პოეტის ხელში.

15 წლის ასაკში ბაირონს თავდავიწყებით შეუყვარდა 17 წლის მერი ჩავორსი, რომელიც მის განცდას გულგრილობით პასუხობდა. ორი წლის შემდეგ მერიმ იქორწინა ათი წლით უფროს დიდგვაროვანზე, რამაც ბაირონი სასოწარკვეთამდე მიიყვანა. ამ ქორწინებიდან რამდენიმე დღეში მძიმე განცდა ბაირონმა გამოხატა ლექსით **„ნაწყვეტი, დაწერილი ძალიან მალე მერი ჩავორსის ქორწინებიდან“.** ბედნიერება ვერც მერი ჩავორსმა პოვა ქორწინებაში, ხოლო ბაირონი სიცოცხლის ბოლომდე ამ სიყვარულს პოეტური სტრიქონებით აცოცხლებდა. დიახ, მხოლოდ სტრიქონებით! ამ სტრიქონებით გაბრუებულმა მერი ჩავორსმა სცადა ბაირონთან დაბრუნება, თუმც, ამაოდ. მასთან შეხვედრას ახლა უკვე თავად ბაირონი გაურბოდა, რადგან მერი პოეტისათვის უკვე დიდ ლიტერატურულ სახედ ქცეულიყო, რომელიც მოედო ევროპას და მისი კვალი ღრმად დააჩნდა რუსულ პოეზიას (პუშკინი, ლერმონტოვი, ბლოკი, და აუცილებლად ანდრეი ბელის ლექსი „Свадьба“). ცხადია, ევროპულ და რუსულ პოეზიაში ღრმად განსწავლული გალაკტიონი მერის ლიტერატურულ „მოდას“ გვერდს არ აუვლიდა... ამდენად, გალაკტიონის – მერი, ეს იყო გამოძახილი იმ დიდი ლიტერატურული პროცესისა, რომელიც სათავეს ბაირონიდან იღებდა. ამიტომაც იტყვის მოგვიანებით გალაკტიონი, რომ მერის სახე პირველად მე შემოვიტანე ქართულ პოეზიაშიო.

ბუნებრივია, მერი არ არის ერთადერთი თემა, რომელიც გალაკტიონის შემოქმედებაში შეხმიანებას გვთავაზობს ბაირონთან, პოეტური სტრიქონებით დაწყებული და ქართველი პოეტის წერილებითა და ცხოვრებისეული მომენტებით დამთავრებული.

მაგრამ, ბაირონის გარდა, ისიც ხომ კარგად მოგვეხსენება, რომ გალაკტიონის პოეზიაში მსოფლიო კულტურაა გარდატეხილი, თავისი ისტორიითა და ქარტეხილებით, რომლის მისხალმისხალ გამოვლენა მხოლოდ სათანადო დარგების პროფესიონალებს ხელეწიფებათ.

* * *

**დავუბრუნდეთ ლექსს „მერის თვალებით“, რომელიც თორმეტტომეულის პირველ ტომში დათარიღებულია 1916 წლით, მაგრამ გამოქვეყნდა 1937 წელს. გამომდინარე იქიდან, რომ რედაქციამ ეს ლექსი მიაკუთვნა პარიზულ ციკლს, ისიც მრავალგზის ითქვა, რომ გალაკტიონი შეგნებულად უთითებდა არასწორ თარიღებს. აგერ უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, ვიკვლევ გალაკტიონს, მაგრამ მის მიერ არასწორად დათარიღებული ლექსი არ შემხვედრია.**

# ფრთხილად, გენიოსია!



როგორც ყოველთვის, საჭირო იყო ლექსის ავტოგრაფის შემოწმება. აღმოჩნდა, რომ გალაკტიონის ხელით თარიღად მიწერილია არა 1916, არამედ 1914 წელი. აშკარაა, რომ ლექსი „მერის თვალებით“ შეიქმნა ერთი წლით ადრე „მერის“ პუბლიკაციამდე. ისევ სიცრუე და ტყუილი?! დიახ, ასეა, რათა ამით ლექსისთვის „მერი“ პირველობა არ წაერთმიათ.

თუ ლექსს „მერის თვალებით“ ვინმე პარიზული ციკლის ნაწარმოებად მიიჩნევს, ისიც უნდა ვუთხრათ, რომ პარიზში გალაკტიონს მწვანე მელანი შეუძენია და სწორედ ამ ფერშია შესრულებული მისი ყველა ლექსი, რომელიც იმხანად შექმნა და შესაბამისადაც დაათარიღა. რაც შეეხება ავტოგრაფს ლექსისა „მერის თვალებით“, ის ლურჯი მელნითაა შესრულებული, ისევე, როგორც ლექსი „მერი“ და სხვა.

ჩემთვის კი, როგორც ბაირონოლოგისთვის, დღესავით ნათელი იყო, რომ ლექსი „მერის თვალებით“ ფაქტობრივად არის თავისუფალი თარგმანი ბაირონის ადრეული პერიოდის იმ პირველი ლექსისა, რომელიც პოეტმა მერი ჩავორსის გათხოვებისთანავე დაწერა და რომელსაც გალაკტიონი ალექსანდრ ბლოკის თარგმანში წაიკითხავდა, რადგან ინგლისური არ იცოდა. გალაკტიონის ლექსი ასე იწყება: **„ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე/ დახურულია გული, როგორც საკანი რამე.“**, რაც ასახავს მერი ჩავორსისადმი მიძღვნილი ბაირონის პირველი ლექსის სათაურს – „ნაწყვეტი, დაწერილი ძალიან მალე მერი ჩავორსის გათხოვების შემდეგ.“ გალაკტიონის ლექსი ასე მთავრდება: **„ჩამოიბუროს ზეცა, მისიც აღარა მჯერა, მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!“** ეს კი, როგორც ვხედავთ, ეხმიანება ბლოკის თარგმანში ბაირონის ლექსის დასასრულს: „**Вам небом для меня в улыбке Мэри милой уже не заблистать.**“

ამის გარდა, კვლევამ სხვა მტკიცებულებებიც გამოავლინა, რაც აღწერილია მონოგრაფიაში, მაგრამ, აქ კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან.

გალაკტიონის ლექსში „მერის თვალებით“ არის ასეთი სტრიქონი: **„არე-მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი“,** რომლის ნაცვლად ლექსის ხელნაწერში ვკითხულობთ: **„მთელს მსოფლიოში მეფობს ღრმა მწუხარების შხამი.“** უდავოა, რომ ამით გალაკტიონი პატივს მიაგებდა ლორდ ბაირონს, მსოფლიო მწუხარების რაინდად წოდებულ პოეტს!

აი, ასე განიცდის გალაკტიონი ბაირონის დაკარგულ სიყვარულს და ემზადება მისი ჯვრისწერის მწუხარების აღსაწერად, ემზადება მერის ახალი ქართული ლიტერატურული სახის შესაქმნელად!

აი, ახლა კი უკვე მაქვს უფლება, ვიკითხო: მე რომ არ ვიყო ბაირონოლოგი, შევძლებდი ამ გავლენის აღმოჩენას, თუნდაც ერთ ლექსში – „მერის თვალებით“?

„მერის“ შექმნის საიდუმლო უკეთ კიდევ მაშინ გაცხადდა, როდესაც მოვიძიე ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ 1915 წლის ნომერი, სადაც ლექსის პირველი ვარიანტი დაიბეჭდა. თუ შემდგომ პუბლიკაციებში ლექსის სათაურს ყველგან ვკითხულობთ, როგორც „მერი“, იქ სათაური ლათინური ასოებითაა აღბეჭდილი – „Meri“. ამით გალაკტიონი გულახდილად მიანიშნებდა, რომ მისი ლექსი არის ალუზია ბაირონის მიერ შექმნილი მერის დიდი და მშვენიერი ლიტერატურული სახისა.

*   *   *

**მაგრამ, რაოდენ საამაყოა, რომ გალაკტიონი არა მარტო განიცდის ბაირონის გავლენას, არამედ კიდევ უფრო ანვითარებს და აღრმავებს მის სახეებს. თუ ბაირონის მერი მხოლოდ „საოცნებო სამყაროს დედოფალია“, როგორც თავად ინგლისელი პოეტი ბრძანებს, გალაკტიონს მერი ღვთისმშობლის უწმინდეს კატეგორიაში აჰყავს:**

**აქ მრავალია ცისფერი ფერი,**
**ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,**
**როგორც ქალწულის სახელი მერი,**
**არის ცისფერი და მწუხარება.**

(„გზა“)

*   *   *

**გალაკტიონს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ინგლისურ და ევროპულ ენებზე სახელი „Meri“ ღვთისმშობელს ნიშნავს, ისევე როგორც ქართულში – „მარიამი“.**

ჩემთვის კი კითხვა კითხვად რჩება: როგორ მოხდა, რომ საუკუნის მანძილზე ლიტერატორთა შორის არავინ იკითხა, თუ რატომ გამოსახა გალაკტიონმა პირველი პუბლიკაციისას ლექსის სათაური ლათინური ასოებით „Meri“?

იმავე 1915 წელს გალაკტიონი ქმნის ლექსს „საღამო“, რომელიც არის ჰიმნი, მიძღვნილი ათონის ივერთა მონასტრის კარიბჭის ღვთისმშობლის ხატისადმი. ეს ლექსი რვა სტროფისგან შედგება. ყოველი სტროფი ჯერ თანმიმდევრულად, ცალ-ცალკე, ხოლო შემდეგ ერთიანად მაქვს გაანალიზებული 2012 წლის მონოგრაფიაში, სადაც ღვთისმშობლის თემა ცალკე თავადაა წარმოდგენილი (50 გვ.). გამომდინარე იქიდან, რომ ლექსი ღრმად გააზრებულ თეოლოგიურ ალუზიებს შეიცავს, ჩემეული ანალიზი გამოქვეყნებამდე გავაცანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს და სრული დასტური მივიღე.

*   *   *

**და მაინც, მოხდა ისე, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეში“, სერიით – ენა, ლიტერატურა და ხელოვნება, 2025 წლის პირველ ნომერში (გვ.139-167), დაიბეჭდა ამირან გომართელის სტატია „იდუმალება შორეულ ტრფობის“, რომელიც მთლიანად აგებულია ჩემს კვლევასა და მიგნებებზე, თუმც, სტატიაში არანაირი მინიშნება ჩემზე, ან ჩემს პუბლიკაციებზე არ იძებნება.**

მოგეხსენებათ, რომ **პლაგიატორი** მძარცველს ნიშნავს, მაგრამ ამირან გომართელის







არა მხოლოდ გალაკტიონის მკვლევარს, არამედ თავად გალაკტიონსაც უბედავს ძარცვას, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით. სტატიას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, სადაც გალაკტიონზე არც სხვა ავტორის და არც თავად ა. გომართელის სამეცნიერო ნაშრომი არაა მოხსენიებული. ჩანს, ა. გომართელმა გალაკტიოზე პირველად აკადემიის „მაცნეში“ მოსინჯა ხელი. ამავე დროს, ა. გომართელი უტიფრად ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ გალაკტიონზე კარგა ხანია მუშაობს, რადგან სტატიაში ასახელებს პოეტის არაერთ ლექსს, მაგ., „თოვლი“, „ლურჯა ცხენები“, „Ave Maria“, რომელთა ანალიზს, მართალია, არ წარმოგვიდგენს, მაგრამ ამბობს, რომ მათი ანალიზი გამოქვეყნებული აქვს 1997 წელს მისი ავტორობით დაბეჭდილ წიგნში „ქართული სიმბოლისტური პროზა“. ამავე დროს, ეს წიგნი არის ა. გომართელის ერთადერთი ნაშრომი, რომელიც გამოყენებული ლიტერატურის სიაშია წარმოდგენილი. გამოდის, რომ გალაკტიონისადმი მიძღვნილი მთელი მისი „ნააზრევი“ იმ ერთადერთ წიგნშია მოქცეული, რომელიც სამი ათეული წლის წინ დაუწერია.

რას არ მოიმოქმედებს პლაგიატორი და რას არ ნახავს ადამიანის თვალი? თურმე წიგნს, სადაც გალაკტიონის ლექსებია განხილული, **„ქართული სიმბოლისტური პროზა“** შეიძლება ერქვას. პროზა, დიახ, პროზა! ასე ბრძანებს გომართელი. მართალია, მე ვერ მოვიცალე ამ წიგნის დასათვალიერებლად, მაგრამ მჯერა, რომ იქ გალაკტიონის ლექსების ანალიზი არ არის შეტანილი.

არ გეგონოთ, რომ გომართელს საკუთარ სტატიაში ჩემ მიერ ჩატარებული რომელიმე ლექსის ანალიზი გადმოაქვს. ის მხოლოდ ჩემი კვლევის შედეგებს იყენებს ავტორის დასახელების გარეშე, როგორც მოცემულობას, მაგალითად, ის, რომ ლექსი „მერი“ თავდაპირველად დაბეჭდილა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, როგორც „Meri“, რომ გალაკტიონის მერი შთაგონებულია ბაირონის, აგრეთვე ევროპული და რუსული სიმბოლისტური პოეზიით; რომ გალაკტიონმა მერიში ღვთისმშობელი იგულისხმა; რომ „მერის“ პუბლიკაცია სამი წლით უსწრებს მერი შერვაშიძის ქორწინებას, თუმც არც სერგი ჭილაიას არსად ახსენებს. ისმის კითხვა: საიდან იცის მან ეს ყველაფერი? ნუთუ ეს მისი თანდაყოლილი ცოდნაა?

ისიც საყურადღებოა, რომ ა. გომართელი არსად ახსენებს ლექსს „მერის თვალებით“, რომელიც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, აშკარა მტკიცებულებაა ბაირონის გავლენისა გალაკტიონზე. პლაგიატორმა კარგად იცის, რომ ამ ლექსის მოხმობით მერის პროტოტიპის ამოცნობაში, კვალი ბაირონის პოეზიის ქართველ მცოდნესთან მიიყვანს, რაც, თავის მხრივ, ბოლომდე გასცემდა მას.

კვალის დასამალად შიგადაშიგ „ფილოსოფოსობს“ კიდეც, მაგრამ, აქაც „უმისამართოდ“, სხვათა ნააზრევითა და მიგნებებით.

საერთოდ, მთელი მისი სტატია ძალიან მაგონებს საბჭოთა პერიოდში აბიტურიენტის თხზულებას, და აი, რატომ: აბიტურიენტს მისაღებ გამოცდაზე თხზულების დაწერა მოეთხოვებოდა, რაც კარგი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლე დაუფლებულ ცოდნასთან ერთად წერის კულტურას ინვითარებდა. მაგრამ აბიტურიენტს ნამდვილად არ მოეთხოვებოდა ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან წყაროების მითითება, ან კვლევის ჩატარება. მას ჰქონდა სასკოლო სახელმძღვანელო, სადაც ცოდნა წარმოდგენილი იყო, როგორც მზა მოცემულობა. აი, ზუსტად ასეთი ხასიათისაა **გომართელის** „სამეცნიერო“ ნაშრომი.

ბარემ ისიც ვთქვათ, თუ რატომაა ეს ასე: 2005 წლამდე ა.გომართელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. როგორც მისი კოლეგები იხსენებენ, წლების მანძილზე ის მისაღები გამოცდებისთვის ამზადებდა აბიტურიენტებს და იმასაც ახერხებდა, რომ ყოფილიყო არა მხოლოდ მისაღები საგამოცდო კომისიის წევრი, არამედ თავმჯდომარეც ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ჩანს, ქვეცნობიერმა იმძლავრა, და როგორც სხვას ასწავლიდა, თავადაც იმ სტანდარტს დაეუფლა.

ისიც ვთქვათ, რომ, თუ აბიტურიენტი რომელიმე კლასიკოსის ციტატას შეცვლიდა, გამსწორებელი ნიშანს დააკლებდა. მაგრამ, თუ ა.გომართელი გალაკტიონს ტექსტს შეუცვლის, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით, იცის, რომ პასუხს არავინ მოსთხოვს.

როგორც ითქვა, 1915 წელს შექმნილი ლექსი „საღამო“ რვა სტროფისგან შედგება. უმჯობესია, დაინტერესებულმა მკითხველმა თავად მოიძიოს ამ ლექსის ვრცელი ანალიზი ჩემს წიგნში, რადგან გაზეთის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა. ლექსი იმდენად რთულია, რომ ჩემი ანალიზი, როგორც მოცემულობა, ა. გომართელმა ვეღარ გამოიყენა, მაგრამ ერთ სტროფს, საკუთრივ, მესამეს, მაინც დაადგა თვალი. სტროფს, აქვე გთავაზობთ:

**ჯვარი, ლომი და კურო**
**ფარშავანგების არის.**
**თვალთა ანგელოსთ შურო,**
**შენ, ღვთისმშობელო კარის!**

(„საღამო“)

როგორც ვხედავთ, გალაკტიონი ჯვარს, როგორც რწმენისა და ქრისტიანული სარწმუნოების განსახიერებას, ლომს, როგორც ძალაუფლებისა და ძლიერების, კუროს, იგივე ხარს, როგორც მიწის ნაყოფიერებისა და მხურვალე ძალის სიმბოლოს, დაუკავშირებს და მიაკუთვნებს ფარშავანგს, როგორც სამეფო ტახტისა და ღვთაებრიობის სიმბოლოს. ამიტომაც იტყვის: „ჯვარი, ლომი და კურო ფარშავანგების არის“ და დასვამს წერტილს. ამგვარად, ზმნა „არის“ დაასრულებს მეორე პწკარს.

ახლა ვნახოთ, როგორ ანალიზს ჩაუტარებს გომართელი მესამე სტროფს, რომელსაც გთავაზობთ ზუსტად ისე, როგორადაც გომართელმა წარმოგვიდგინა სტატიაში:

**ჯვარი, ლომი და კურო**
**ფარშავანგების არის,**
**თვალთა ანგელოზთ შურო,**
**შენ, ღვთისმშობელო კარის!**

(ა.გომართელის ვერსია)

გომართელი წერს, რომ მეორე პწკარში სიტყვა „არის“ აუცილებლად ნიშნავს „არეს“, საკუთრივ, იმას, რომ ჯვარი, ლომი და კურო განეკუთვნებიანო ფარშავანგების არეს.

იმისათვის, რომ ზმნას „არის“ ნათესაობით ბრუნვაში მყოფი არსებითი სახელის ფუნქცია შესძინოს, ხვდება, რომ მეორე პწკარის ბოლოს გალაკტიონის მიერ დასმული წერტილი ხელს უშლის. ამიტომაც პლაგიატორი წერტილის ნაცვლად ლექსში მძიმეს განათავსებს და თავის ცრუ ინტერპრეტაციას ამით ამაგრებს.

საუბედუროდ, გომართელმა არ იცის, რომ არსებითი სახელი „არე“ ნათესაობით ბრუნვაში იწერება არა როგორც „არის“, არამედ, როგორც „არისა“. გომართელმა ისიც არ იცის, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ფარშავანგების არე“ დანართის სახით იქნებოდა ნახმარი, მას მძიმე არა მხოლოდ ბოლოში, არამედ თავშიც ეკუთვნოდა.

ა. გომართელმა ისიც არ იცის, რომ ქართულ ენაში „ანგელოზის“ პარალელურად იხმარება „ანგელოსი“. ამ უკანასკნელს იყენებს გალაკტიონი, რათა შექმნას „ს“ ბგერის ალიტერაცია სიტყვებში „ანგელოსი“ და „ღვთისმშობელი“. ამით გომართელმა არა მარტო ცრუ ინტერპრეტაცია წარმოადგინა, არამედ ტექსტი დაუმახინჯა გალაკტიონს, როდესაც ის საკუთარ ტყავზე მოირგო.

**და მაინც, ჩემთვის მთავარი საკვირველი ეს პლაგიატი კი არა, არამედ ის ფაქტია, რომ ა.გომართელის სტატია დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მაცნეში“, რომლის გამოცემაც ხელახლა ააღორძინა 2022 წლიდან აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ, რაც არ იმსახურებს იმას, რომ ჟურნალში ვინმემ უმეცრება დაამკვიდროს. 2025 წლის პირველი ნომრის რედაქტორი გახლავთ ასევე ჩვენი – ენის, ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილების ახლადარჩეული წევრ-კორესპონდენტი სოსო სიგუა. გამოდის, რომ რედაქტორმა ვერ ამოიცნო პლაგიატი და ენდო ასეთ ავტორს?**

*   *   *

**წინა საუკუნის ინგლისური ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში ცნობილია ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორს ახალგაზრდა მამაკაცი ესტუმრა და შესთავაზა საკუთარი ლექსების გამოქვეყნება. რედაქტორმა თვალი შეავლო რა ლექსებს, ფეხზე წამოდგა, თავი მდაბლად დახარა და მიმართა ახალგაზრდას: „მომიტევეთ, ლორდ ბაირონ! არ ვიცოდი, რომ ცოცხალი ბრძანდებოდით. მეგონა, საუკუნის წინ საბერძნეთში გარდაიცვალეთ“.**

ცხადია, ამ მაგალითით ბაირონის ცოდნას არავინ სთხოვს ბატონ სოსო სიგუას, მაგრამ, ჩემი აზრით, თანამედროვე ქართველ ლიტერატორს მოეთხოვება, იცოდეს, მსოფლიოში რომელი ცნობილი ქართველი ბაირონოლოგი მუშაობს გალაკტიონზე, თარგმნის მას და აცნობს დასავლეთს.

აქვე იმასაც შევახსენებ რედაქტორს, რომ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია აუცილებლად უნდა გვიჩვენებდეს ავტორის მეცნიერიულ ცოდნას იმ საკითხის ირგვლივ, რომელსაც თავად ირჩევს წერის ობიექტად, რაც უპირველესად აისახება სხვათა კვლევის წყაროების მითითებაში. ფაქტია, რომ რედაქტორმა ეს ვერ შეძლო. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ეს საკითხის უცოდინარობის გულუბრყვილო გამოხატულებაა, თუ არსებული მეცნიერული კვლევის განზრახ იგნორირება? და თუ ეს ასეა, მაშინ ვეკითხები ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ პროცესში, დაწყებული პლაგიატორით, დამთავრებული რედაქტორით:

**გალაკტიონის მზერას მაინც როგორ არ შეუშინდით, კოლეგებო?**



**ინესა მერაბიშვილი,**
**აკადემიკოსი,**
**თსუ პროფესორი.**

საქართველოს რესპუბლიკა
მშვიდობა კავკასიას!
№144. ორშაბათი, 27 ოქტომბერი, 2025 წელი

# საქართველოს როლი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ისტორიულ შერიგებაში



**ბაქოს გადაწყვეტილება, მოხსნას შეზღუდვები ტვირთების ტრანზიტზე მის ტერიტორიაზე, სამხრეთ კავკასიის ისტორიაში ახალ თავს ხსნის. სომხეთში მიმავალი პირველი მარცვლეულის ტვირთი, 30-წლიანი კონფლიქტის შემდეგ, რეგიონული შერიგების სიმბოლოდ იქცა.**

**სამხრეთ კავკასიაში ისტორიული მომენტი დადგა. ოცდაათ წელზე მეტი ხნის დაპირისპირების შემდეგ, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთისკენ ხელშესახებ ნაბიჯებს დგამენ. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სომხეთში ტვირთების ტრანზიტზე ყველა შეზღუდვის მოხსნის შესახებ განაცხადა. ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც არა მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობებს, არამედ მთელი რეგიონის ეკონომიკურ გეოგრაფიასაც შეცვლის. პირველი სატრანზიტო ტვირთი იყო ყაზახური მარცვლეული, რომელიც აქტაუ-ბაქოს მარშრუტით სომხეთში ჩავიდა, შემდეგ კი აზერბაიჯანისა და საქართველოს რკინიგზითაც გაიარა. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ, ასეთი სცენარი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს განეკუთვნებოდა.**

**გარდამტეხი მომენტი 2025 წლის 8 აგვისტოს დადგა. ვაშინგტონში, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის შუამავლობით, ხელი მოაწერეს მშვიდობიანი ურთიერთობების შესახებ ერთობლივ დეკლარაციას.**

დოკუმენტი გახდა პირველი ოფიციალური შეთანხმება სამი ათწლეულის კონფლიქტის შემდეგ, რომელიც აღიარებს „წარსულის კონფლიქტებით თავისუფალი ნათელი მომავლისკენ კურსის დადგენის“ აუცილებლობას.დეკლარაციის ძირითადი დებულება იყო მე-3 მუხლი, რომელიც რეგიონული კომუნიკაციების გახსნას ეძღვნებოდა. მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს სატრანსპორტო კავშირების დამყარების მნიშვნელობა სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და იურისდიქციის პატივისცემის საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აზერბაიჯანის მატერიკულ ნაწილსა და ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის, სომხეთის გავლით, შეუფერხებელ კომუნიკაციას, რაც ამავდროულად, საერთაშორისო ტრანზიტის სარგებელს თავად სომხეთისთვისაც ხსნის.

დეკლარაცია ასევე ითვალისწინებდა სომხეთის გავლით „ტრამპის მარშრუტის საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის“ (TRIPP) სატრანზიტო დერეფნის შექმნას. ერევანმა კი გამოაცხადა მზადყოფნა, 99 წლით გადასცეს ამ დერეფნის მართვის უფლებები შეერთებულ შტატებს – უპრეცედენტო ნაბიჯი, რომელიც სომხეთის ხელმძღვანელობის სერიოზულ ერთგულებას აჩვენებს საერთაშორისო სატრანსპორტო ნაკადებში ინტეგრაციის მიმართ.

* * *

**ტრანზიტის შეზღუდვების მოხსნის გამოცხადებისას, პრეზიდენტმა ალიევმა განცხადების გაკეთების ადგილი ფრთხილად შეარჩია. განცხადება ყაზახეთის პრეზიდენტ კასიმ ჟომარტ ტოკაევთან ერთად, ასტანაში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთდა.**

ადგილმდებარეობისა და ფორმატის არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა – სომხეთში პირველი სატრანზიტო ტვირთი სწორედ ყაზახური ხორბალი იყო.

**„აზერბაიჯანმა გააუქმა სომხეთში ტვირთების ტრანზიტზე ოკუპაციის შემდეგ არსებული ყველა შეზღუდვა. ვფიქრობ, ეს ასევე კარგი მაჩვენებელია იმისა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მშვიდობა აღარ არის მხოლოდ ქაღალდზე, არამედ პრაქტიკაშიც“,** – განაცხადა **ალიევმა.**

ამ ჟესტის სიმბოლიკა მრავალშრიანია. აზერბაიჯანი არა მხოლოდ ხსნის ტრანზიტს, არამედ ამას აკეთებს ფორმატში, რომელიც ხაზს უსვამს თურქული სამყაროს როლს რეგიონულ ინტეგრაციაში. ის ფაქტი, რომ პირველი ტვირთი ყაზახეთიდან, კიდევ ერთი თურქული ქვეყნიდან მოდის, მნიშვნელოვან გზავნილია სომხური საზოგადოებისთვის: თურქულ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა სომხეთისთვის საზიანო არ იქნება, პირიქით, ახალ შესაძლებლობებს უხსნის.

დროც არ არის შემთხვევითი. სომხეთში ეროვნული ასამბლეის არჩევნები ახლოვდება, სადაც ნიკოლ ფაშინიანს მკაცრი ბრძოლა ელის რევანშისტული ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელმაც გააკრიტიკა პრემიერ-მინისტრის სამშვიდობო დღის წესრიგი. ალიევის გადაწყვეტილება აძლიერებს ფაშინიანის პოზიციას და სომეხ ამომრჩეველს აჩვენებს მეზობლებთან ურთიერთობების დარეგულირების ხელშესახებ სარგებელს.

* * *

**ერევნის რეაქცია მყისიერი იყო. პრემიერ-მინისტრი ფაშინიანი მიესალმა პრეზიდენტ ალიევის განცხადებას თბილისში, აბრეშუმის გზის მე-5 ფორუმზე – სიმბოლურ ადგილზე, სადაც ორი წლის წინ მან პირველად წარადგინა „მსოფლიოს გზაჯვარედინის“ პროექტი.**

**„გუშინწინ პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა მოხსნა შეზღუდვები ტვირთების ტრანზიტზე მის ტერიტორიაზე“ – ეს უაღრესად მნიშვნელოვანი განცხადებაა და მინდა, მადლიერება გამოვხატო აზერბაიჯანის პრეზიდენტის ამ ნაბიჯისთვის“,** – განაცხადა **ფაშინიანმა.**

მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის, რაც რამდენიმე თვის წინ წარმოუდგენელი ჩანდა, ახლა რეალობად იქცევა.

სომხეთის ეკონომიკის მინისტრი გევორგ პაპოიანი კიდევ უფრო ლაკონური და ოპტიმისტური იყო თავის შეფასებაში. მან Facebook-ზე ყაზახური ხორბლის პირველი პარტიის ჩამოსვლა დაადასტურა და მხოლოდ ორი სიტყვა დაამატა: **„მშვიდობა დამყარდა“.**

თუმცა, ერევანი მხოლოდ მადლიერებით არ შემოიფარგლა. ფაშინიანმა რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების ამბიციური გეგმები თქვა. მან განაცხადა, რომ მომავალში, სომხეთის გავლით, აშენდება მილსადენები და ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებიც აზერბაიჯანს ნახიჭევანთან დააკავშირებს და აზერბაიჯან-სომხეთი-თურქეთის დამაკავშირებელ მარშრუტს შექმნის.

გარდა ამისა, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა თურქეთთან საზღვრის შესაძლო გახსნის შესახებ განაცხადა. **„თურქეთთან პოზიტიური დიალოგი იმედს იძლევა, რომ საზღვარი მალე გაიხსნება“,** – განაცხადა ფაშინიანმა თბილისში გამართულ ფორუმზე. მან აღნიშნა, რომ სომხეთი მზადაა, თურქეთსა და ნახიჭევანს შორის სარკინიგზო კავშირი დაამყაროს, თუმცა ტექნიკურ განხორციელებას რკინიგზის ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და აღდგენას ორი-სამი წელი დასჭირდება.

## რა იმალება ბაქოს გადაწყვეტილების უკან?

**აზერბაიჯანის გადაწყვეტილება ტრანზიტზე შეზღუდვების მოხსნის შესახებ შეიძლება სამ დონეზე განვიხილოთ: შიდაპოლიტიკური, რეგიონული და გეოეკონომიკური**

შიდა საკითხებში ეს ნაბიჯი აზერბაიჯანული საზოგადოებისთვის კონფლიქტის სამხედრო ფაზის დასრულების სიგნალია. ახლა, როდესაც აზერბაიჯანმა ყარაბაღზე კონტროლი აღიდგინა, ბაქოს შეუძლია, გამარჯვებულის დიდსულოვნების დემონსტრირება. ეს გზავნილი საზოგადოებას შთააგონებს და მდგრადი, მშვიდობიანი განვითარებისკენ უბიძგებს.

რეგიონულ დონეზე სავაჭრო შეზღუდვების მოხსნა აზერბაიჯანის კეთილგანწყობას აჩვენებს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ეს მის პარტნიორებს – ყაზახეთს, რუსეთს, აშშ-სა და ევროკავშირს უმტკიცებს, რომ კონფლიქტი პრაგმატიზმში ეფუძნებოდა და არა ეთნიკურ სიძულვილში. სავაჭრო ბლოკადა კონფრონტაციის ინსტრუმენტი იყო და ახლა აღარ არის საჭირო.

თუმცა, ყველაზე საინტერესო ასპექტი გეოეკონომიკურია. ტრანზიტის გახსნა სომხეთის ეკონომიკურ დამოკიდებულებას შეუქმნის აზერბაიჯანთან მშვიდობიან ურთიერთობაზე. თუ ყაზახური მარცვლეული სომხეთში გონივრულ ფასებში და კარგი ხარისხის შემოვა და თუ ვაჭრობის გახსნა სომხურ იმპორტსა და ექსპორტს დივერსიფიცირებას მოახდენს, ეს ავტომატურად შეამცირებს ერევნის დამოკიდებულებას ტრადიციულ მოთამაშეებზე.

## შუა დერეფანი მოქმედებაში შედის

**ტრანზიტის შეზღუდვების მოხსნის გადაწყვეტილება შუა დერეფნის განვითარების უფრო ფართო კონტექსტში ჯდება, რაც არის ამბიციური სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ქსელი, რომელიც ევროპასა და აზიას სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის გავლით აკავშირებს.**

თბილისში აბრეშუმის გზის მე-5 ფორუმის გახსნაზე, სამი სამხრეთ კავკასიური ქვეყნის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ მარშრუტის განვითარებას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი წამყვან როლს ასრულებენ ჩინეთის, ცენტრალური აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ახალი სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ქსელის შექმნაში. როგორც მნიშვნელოვანი რეგიონული სავაჭრო ცენტრი, საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს უსაფრთხო, ეფექტური და საიმედო მარშრუტის შექმნაში.

თუმცა, ახლა ამ გეგმას სომხეთიც უერთდება. პროექტი ითვალისწინებს სომხეთის გავლით, რეგიონული და საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირების განვითარებას არა მხოლოდ საქართველოსა და ირანთან, არამედ აზერბაიჯანსა და თურქეთთანაც.

ეს რეგიონის სატრანსპორტო გეოგრაფიას ცვლის. სომხეთს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში, აზერბაიჯანთან და თურქეთთან საზღვრების დაკეტვის გამო, სატრანსპორტო იზოლაციაში იმყოფებოდა, ახლა აქვს შესაძლებლობა, საერთაშორისო სატრანზიტო ნაკადებში სრულფასოვანი მონაწილე გახდეს. გარდა ამისა, სომხეთის მონაკვეთის გახსნა, კონფლიქტური ზონების გვერდის ავლით, ალტერნატიულ მარშრუტებს ქმნის და პოტენციურად ამცირებს ევროპასა და აზიას შორის ტრანსპორტირების დროს.

* * *

**დაწყებული სამშვიდობო პროცესი მნიშვნელოვან შესაძლებლობებს უხსნის მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონს და მეზობელ ქვეყნებს.**

საქართველოსთვის, სომხეთის რეგიონულ სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრაცია დამატებით ნიშნავს სატრანზიტო ნაკადებს საქართველოს ტერიტორიაზე და პორტებში. თბილისი უკვე პოზიცონირებს, როგორც შუა დერეფნის ცენტრი, ხოლო დერეფნის სომხეთში გაფართოება მხოლოდ აძლიერებს ამ როლს.

სომხეთისთვის ეს არის ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე ეკონომიკური იზოლაციიდან გამოსვლის შანსი. სავაჭრო გზების დივერსიფიკაცია ამცირებს დამოკიდებულებას ერთადერთ ღია სახმელეთო დერეფანზე, რომელიც საქართველოსა და ირანის გავლით გადის. ცენტრალური აზიის ბაზრებზე წვდომა და თურქეთთან საზღვრის პოტენციური გახსნა მნიშვნელოვნად გააფართოებს ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. უფრო მეტიც, სატრანზიტო პროექტებში მონაწილეობამ, შესაძლოა, ბიუჯეტის შემოსავლების ახალი წყარო შექმნას.

აზერბაიჯანისთვის სომხეთთან ურთიერთობების დარეგულირება ნიშნავს სამხედრო გამარჯვების შემდეგ პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესს. ნახიჭევანთან, სომხეთის ტერიტორიის გავლით, კომუნიკაციების გახსნა მოაგვარებს ქვეყნის კავშირის სტრატეგიულ პრობლემას. გარდა ამისა, ბაქო აძლიერებს თავის პოზიციას, როგორც ევროპასა და აზიას შორის მთავარი სატრანსპორტო კვანძი, რაც ზრდის მის გეოპოლიტიკურ წონას.

ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით ყაზახეთისთვის, სომხეთის მარშრუტი დამატებით საექსპორტო ვარიანტს ქმნის სამხრეთ კავკასიაში და შემდგომ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. საექსპორტო დერეფნების დივერსიფიკაცია მთავარი პრიორიტეტია ცენტრალური აზიის ეკონომიკებისთვის, რომლებიც სასაქონლო ექსპორტზე არიან დამოკიდებულნი.

თურქეთისთვის, სომხეთთან საზღვრის პოტენციური გახსნა აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ბაზრებზე პირდაპირ სახმელეთო წვდომას უზრუნველყოფს. ეს აძლიერებს ეკონომიკურ კავშირებს თურქულ სამყაროში და ასრულებს ანკარის დიდი ხნის სტრატეგიულ მიზანს.

**TRT-დან თარგმნა**
**ქეთი გიორგაძემ**



# სტალინი – გენიალური „დიქტატორი“

## ისტორია, რომელიც არ მთავრდება

**1952 წლის ოქტომბრის იმ საბედისწერო მოვლენიდან რამდენიმე თვით ადრე, ბორჯომში დასასვენებლად მყოფმა სტალინმა სრულიად მოულოდნელად ერთ-ერთ თავის მკურნალ ექიმს ჰკითხა:**

**– ექიმო, მითხარით სიმართლე, გთხოვთ, გულწრფელი იყავით! – გაგჩენიათ ოდესმე ჩემი მოწამვლის სურვილი?**

**ექიმი გაფითრდა. ხმის ამოღება ვერ შეძლო.**

**სტალინი ყურადღებით დააკვირდა მას, შემდეგ გაიღიმა და გააგრძელა:**

**– ვხედავ, თქვენ რბილი ადამიანი ხართ, ექიმო, არ ჰგავხართ სხვებს; მაგრამ მე ბევრი მტერი მყავს, რომლებიც უკან არაფერზე დაიხევენ, რომ ეს საქმე განახორციელონ.**

**აგარაკზე შენობებისთვის მუდმივად იცვლებოდა ბოქლომები და საკეტები, მუდმივად ფხიზლობდა დაცვა, მაგრამ განცდა, რომ მოწამლავდნენ, ბელადს სულ უფრო და უფრო უმძაფრდებოდა.**

**ყოველ ღამე სტალინი სხვადასხვა ოთახში იძინებდა, ხან მოსასვენებელ ოთახში, ხან – ბიბლიოთეკაში. მოსამსახურე პერსონალი,ეტიკეტის მიხედვით,ზედმეტ კითხვებს არ სვამდა, ამიტომ საწოლის გაშლა რამდენიმე სხვადასხვა ადგილას უწევდათ.**

**სტალინი თითქოსდა ეთამაშებოდა უხილავ მტერს. სინამდვილეში, ასეც იყო: ის კრიმინალების გარემოცვაში ცხოვრობდა.**

* * *

**1953 წლის 28 თებერვალს, გვიან ღამემდე, ანუ 1 მარტის გამთენიამდე, სტალინმა ბერიასთან, ხრუშჩოვთან და მალენკოვთან ერთად ივახშმა. მათთან იყო ბულგანინიც.**

მხიარულებამ დილამდე გასტანა.

10 საათისთვის ყველა მოელოდა, რომ ბელადი რომელიმე მოსამსახურეს ან დაცვას გამოიძახებდა, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმოდა. ეს ცოტა უჩვეულო იყო მისგან. ის, როგორც წესი, დილით ადრე იღვიძებდა.

დაცვა ვერ ბედავდა ოთახში შესვლას იმის მიუხედავად, რომ პატარა სასადილო ოთახის კარის ჭუჭრუტანიდან კარგად ჩანდა მაგიდის ფეხთან, იატაკზე დაცემული ბელადის სრულიად პარალიზებული, თითქმის უსიცოცხლო სხეული. ისინი ჯიუტად ელოდებოდნენ ბრძანებას, მაგრამ, რადგან ბელადი გაუნძრევლად ერთსა და იმავე ადგილას იწვა, გაბედეს და შევიდნენ...

ექიმები 12 საათის შემდეგ გამოჩნდნენ.

მათი თქმით, სტალინს აღენიშნებოდა სისხლჩაგუბებები მუცლის ღრუში, აღებინებდა სისხლს, მთელი ორგანიზმი პარალიზებული ჰქონდა.

ბელადი ტანჯვით გარდაიცვალა.

ექიმებმა დაადასტურეს ინსულტი, თუმცა სიმპტომები უფრო საწამლავის მოქმედებას ჰგავდა, რომელიც შინაგან სისხლდენას იწვევს.

1953 წელს ასეთი საწამლავი რუსეთში უკვე ხელმისაწვდომი იყო; მისი გაშლა მთელ ორგანიზმში რამდენიმე საათის ამბავი გახლდათ.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, საწამლავი ღვინოში ჩაასხეს. მიზეზი ძალაუფლების ხელში ჩაგდების უდიდესი სურვილი იყო, რადგან პოლიტბიუროში ვარაუდობდნენ, რომ სტალინი „წმენდის“ ახალ ტალღას ამზადებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლო მეგობრებიც კი ფიქრობდნენ, რომ ამ ე.წ. წმენდაში თვითონაც მოჰყვებოდნენ.

ყველაზე მეტად შიშობდნენ ხრუშჩოვი და მალენკოვი, არანაკლებ იყო დაზაფრული მოლოტოვიც; ყველა მათგანს ჯურღმულებში დახვრეტის საშინელი სცენარის ეშინოდა.

მაგრამ ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი?

ოფიციალური ცნობებით, თუმცა სტალინი ინსულტისგან გარდაიცვალა, გარდაცვლილის სხეულთან მიკარების უფლება ყველა ექიმს არ ჰქონია.

ბევრი დოკუმენტი ბელადის გარდაცვალების მოვლენებთან დაკავშირებით, გაქრა.

2000 წელს, როცა სტალინის სიკვდილის გარემოებების შესწავლით დაინტერესდნენ, რუსი მკვლევრები აცხადებდნენ, რომ შეძლებდნენ გარდაცვალების ნამდვილი მიზეზების დადგენას, თუმცა ბელადის სხეულის ქსოვილის ნიმუშები განადგურებული იყო. კგბ-ს არქივები კი დღემდე დუმილს ინარჩუნებენ, მაგრამ თუ ეს ინსულტი იყო, რატომ არსებობს ამდენი საიდუმლო დიდი ბელადის გარდაცვალებასთან დაკავშირებით? თითქმის ყველა დიდი ისტორიული მოღვაწის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზები ცნობილია, სტალინისა კი არა...

* * *

**ნიკიტა ხრუშჩოვს კიდევაც ეშინოდა და კიდევაც ეზიზღებოდა სიცოცხლეში იოსებ სტალინი. ამიტომაც ვერ ისვენებდა, სანამ მისი სხეული მავზოლეუმიდან არ გამოატანინა და კრემლის ეზოში არ დაასაფლავებინა.**

თუმცა მაინც ვერ დაწყნარდა: რამდენიმე თვის შემდეგ, ვიწრო



წრეში გავრცელებული ხმების მიხედვით, მას შიშები დაეწყო სტალინის მოწამვლის შესახებ საუბრების გახშირების გამო. მოსალოდნელი ექსჰუმაცია რომ გამოერიცხა, ხრუშჩოვმა გამოსცა საიდუმლო ბრძანებულება ცხედრის დაწვის შესახებ.

სხეული ჩაკეტილ კრემატორიუმში დაასვენეს.

დაწვას მკაცრად შეზღუდული რაოდენობისა და კომპეტენციის პირები ესწრებოდნენ.

ფერფლი ისევ იმ ადგილას დაფლეს, სადაც თავიდანვე ჩაასვენეს, – კრემლის კედელთან. საფლავი ბეტონის სქელი ფენით დაფარეს და ზედ დიდი ქვის ფილა დააფარეს.

ისტორიკოსი ჯონათან ბრენდი თავის წიგნში „სტალინის უკანასკნელი დღეები“, როცა ამ გარემოებებზე წერს, ხაზს უსვამს გარშემომყოფთა უცნაურ ქმედებებს, რომლებიც არც კი ცდილობდნენ, გამოსარჩლებოდნენ უკვე გარდაცვლილ ბელადს.

არქივები განადგურდა. ყველა დოკუმენტი დაიხურა.

* * *

**კრემლის მძიმე ხავერდგადაფარებული ავეჯი, მასიური მაგიდები და სკამები მოწმეები იყვნენ ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი შიშის, ჩურჩულით ნათქვამი სიტყვების.**

ჰაერში უკვე ტრიალებდა არა ბელადის ჩიბუხის კვამლი, არამედ გამოუცნობი მთავარი კითხვა, რომელიც ყინავდა სულს და ამ ყინულით ათრთოლებდა ყველაზე ახლობელი მოკავშირის გულსაც კი და ეს კითხვა იყო: ვინ იქნებოდა შემდეგი? ვინ იქნებოდა ამდენი წინააღმდეგობებითა და ბრძოლით შექმნილი ძალაუფლების ბატონ-პატრონი?

მოგვიანებით ხრუშჩოვი იხსენებდა სტალინის ნათქვამს: **მე რომ მოვკვდები, თქვენ დაიბნევით, როგორც ბრმა კატები.**

იცოდა ნიკიტამ, რომ წინასწარმეტყველური იყო ეს სიტყვები და ბელადს შერჩეულიც ეყოლებოდა პოტენციური მემკვიდრეები.



ვარაუდობდნენ, რომ პირველი, სტალინის მემკვიდრეთა არაოფიციალურ სიაში გიორგი მალენკოვი იქნებოდა. წყნარი, მუდამ მზადმყოფი შემსრულებელი, ყოველთვის ჩრდილში მყოფი, კაცი, რომელმაც 40-იანი წლების ბოლოს ხელში ჩაიგდო უზარმაზარი სახელმწიფო ძალაუფლება. სწორედ მისი ხელმოწერები იყო მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტების ბოლოში.

1952 წლის ოქტომბერში, პარტიის მე-19 ყრილობაზე, სწორედ მალენკოვს დაევალა მოხსენება გაეკეთებინა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შედეგებზე. ბევრისთვის ეს იყო ნიშანი – აი, ისიც, რჩეული, – ფიქრობდნენ პოლიტბიუროს წევრები.

სტალინი კი იჯდა პრეზიდიუმში და ყველაფერს ყურადღებით ისმენდა. მისი მკაცრი გამომეტყველება არ გამოხატავდა არანაირ ემოციას, თუმცა კრემლის ძველი „მგლები“ ხვდებოდნენ, რომ უფროსის სიმშვიდე მარტის ამინდს ჰგავდა.

მალენკოვი მოსახერხებელი იყო ერთი შეხედვით რბილი ხასიათის გამო, თავისი მზადყოფნის გამო, შეესრულებინა ნებისმიერი ბრძანება, მაგრამ ფლობდა თუ არა ის რკინის ნებას, შეუბრალებლობას, რომლებიც აუცილებელი იყო ასეთი უზარმაზარი და რთული სახელმწიფოს შესანარჩუნებლად?

ამ კანდიდატურაზე მეორე, უფრო გაწვრთნილი და დიდი ძალაუფლების მქონე ფიგურა ლავრენტი პავლეს ძე ბერია იყო – შინაგან საქმეთა ყოვლისშემძლე სახალხო კომისარი და სსრკ ატომური პროექტის კურატორი. მის ხელში იყო სადამსჯელო ორგანოების ყველა რგოლი, ფლობდა წვდომას სახელმწიფოს ყველაზე მკაცრ საიდუმლოებებზე.

ბერია იყო ჭკვიანი, ნიჭიერი, ენერგიული, შეუბრალებელი. ის სტალინისთვის შეუცვლელი გახლდათ.

ომის შემდეგ მისი გავლენები განუსაზღვრელად გაიზარდა, ატომური ბომბის შექმნის პროცესში მიღწული წარმატებების გამო.

სტალინი აფასებდა მის დამოკიდებულებას საქმისადმი, მის შესაძლებლობას, მიეღწია წარმატებისთვის ნებისმიერ ფასად, თუმცა ბერიასაც არ ენდობოდა ბელადი ბოლომდე. ფრთხილად იყო, რადგან ბერიამ ძალიან ბევრი რამ იცოდა. ლავრენტი პავლოვიჩი იყო ერთადერთი, რომელიც აძლევდა უფლებას თავს, ყოფილიყო ბელადთან ფამილარული და პირადი საუბრებისას მიემართა მისთვის სახელით – კობა.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რომელიც განსაკუთრებით ხშირად ისმოდა მისი მოწინააღმდეგეებისგან სტალინის გარდაცვალების შემდეგ, იყო ის, რომ სწორედ ბერია იქნებოდა, ვინც დააჩქარებდა ბელადის სიკვდილს, რათა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება.

ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს მე-19 ყრილობის მასალების დეტალური და უტყუარი ჩანაწერები, თუმცა, როგორც სტალინს, ისე ბერიას, რომ გაეთვალისწინებინა ხრუშჩოვის, ამ ყველაზე ბრიყვი პარტმუშაკის ვირეშმაკობის სიღრმეები, რასაც, ალბათ, არც ერთი არ მოელოდა, შესაძლებელი იყო, დიდი საბჭოთა იმპერიის ერთი ქართველი ლიდერი მეორეს შეეცვალა, მაგრამ ისტორია და განგება ასე არ სჯიდა...



ლავრენტი ბერია ფლობდა ყველა შესაძლებლობას – ის იყო ჭკვიანი, დაუნდობელი, თაყვანისმცემელთა ფართო ქსელით უშიშროების ორგანოებში, თუმცა მისი ეშინოდათ პოლიტბიუროს წევრებს. რადგან ფიქრობდნენ, თუკი ბერია მიიღებდა ძალაუფლებას მთლიანად, მათი ბედი გაურკვეველი იქნებოდა. სწორედ ეს შიში განაწყობდა მათ ლავრენტი პავლოვიჩის წინააღმდეგ.

* * *

**მოლოტოვი და ბერია გასაგებია, მაგრამ რა ხდებოდა ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვის გარშემო?**

ზემოთაც გითხარით, ცოტა ვინმე თუ უყურებდა მას, როგორც სერიოზულ პირს და რეალურ კანდიდატს მომავალ ხელისუფლებაში,მით უმეტეს, უმაღლეს თანამდებობაზე.

– балагур, простак, Микита, –ასე ქირქილებდნენ ხრუშჩოვზე მის ზურგს უკან.

ნიკიტას შეეძლო ეთამაშა ერთგული ადამიანის როლი, თუმცა არც ისე ჭკვიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი კარიერა დიდი გულმოდგინებით იყო მოპოვებული.

სტალინი აფასებდა მის ენერგიას და ხელმძღვანელისადმი დამახასიათებელ უნარებს. სინამდვილეში კი ხრუშჩოვი იყო შეფარული გაიძვერა და აპარატის ინტრიგების ოსტატი, მას შეეძლო შემოეკრიბა საჭირო ნაცნობობა, გამოეძებნა საერთო ენა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებთან ისე, რომ მის ძალაუფლებას და თანამდებობას არ დაეფრთხო ისინი.

შესაძლებელია, სწორედ მისმა მოჩვენებითმა უბრალოებამ და ასევე მოჩვენებითმა უამბიციობამ შეუქმნა მცდარი შთაბეჭდილება ხრუშჩოვზე სტალინსაც და მის ასე თუ ისე ერთგულ მოკავშირეებსაც. ვერავინ ხედავდა მასში საშიშ კონკურენტს და ეს იყო სწორედ მათი საბედისწერო შეცდომა.

ხრუშჩოვი მოთმინებით ელოდა თავის დროს, მოეპოვებინა უფრო დიდი ძალა და გავლენები.

მისი დრო დგებოდა ბელადის გარდაცვალებისთანავე, როცა მას უკვე შეეძლო თამაშიდან გაეგდო, როგორც მალენკოვი, ასევე ბერია. იმ ხანებში არსებობდა კიდევ ერთი, ამაზე არანაკლებ ინტრიგისშემცველი ვერსია. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტალინი, გულაცრუებული იყო ძველ გვარდიაზე, ამიტომაც მე-19 ყრილობაზე ცკ-ის კადრების გაფართოებული სიით, რომელსაც პოლიტბიურო ეწოდა, შეყვანილი იქნა ბევრი ახალი სახე, მათ შორის დასახელებული იყო **პანტელეიმონ პონომარენკო,** ყოფილი პარტიზანთა ხელმძღვანელი, რომელმაც თავბრუდამხვევი კარიერა შეიქმნა, **სემიონ ეგნატიევი,** რომელიც გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრი აბაკუმოვის გათავისუფლების შემდეგ და ა.შ.

სტალინი მათში ხედავდა ახალ თაობას, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ძველ კლანურ გარჩევებთან. ისინი უფრო დამჯერი და დამფასებელი იქნებოდნენ სტალინის. ბელადი ცდილობდა შეექმნა მეტად სტაბილური და მყარი მმართველობა მისი წასვლის შემდეგ, მაგრამ ეს იყო შორეული პერსპექტივები.

**სტალინს უდიდესი გათვლებით ჰქონდა აწყობილი სისტემა. ის იყო, როგორც მზე, ხოლო მის ირგვლივ ტრიალებდნენ საბჭოთა პოლიტიკის გავლენიანი პლანეტები და რა დროსაც ეს მზე ჩაქრა, სისტემა აღმოჩნდა ქაოსის ზღურბლზე. გახსოვთ, როგორ ეუბნებოდა თანამებრძოლებს სტალინი: დაიბნევით, როგორც ბრმა კატებიო?!**

მოამზადა
ირანდა კალანდაძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №139

# კარგი ამბები

**მონტენეგროს ქალაქ ბუდვაში გამართულ კრივის 15-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გიორგი ახვლედიანმა (55 კგ) ევროპის ჩემპიონობა იზეიმა. ქართველმა სპორტსმენმა ფინალში თურქი იაღიზ კიმაზი დაამარცხა.**

ფინალამდე მან აზერბაიჯანელ ისმაილ ასლანლის, იტალიელ მატეო მაჩელის, უკრაინელ კირილო ჩუმაკოვსა და ირლანდიელ პატრიკ ჰარიქენის სძლია. სულ საქართველოს ნაკრების ანგარიშზე ექვსი მედალია.

ევროპის ჩემპიონობა იზეიმა **ელენე ქარჩავამ** (48კგ), ვერცხლი **ლიზა ლომჯანიძემ** (66 კგ) მოიპოვა, ბრინჯაოს პრიზიორები კი **თორნიკე სიმონიშვილი** (40 კგ), **საბა კერძევაძე** (44 კგ) და **ჯონი ხაბურზანია** (46 კგ) გახდნენ. ახალგაზრდა მოკრივეები ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით იმყოფებოდნენ.

* * *

**ჩინეთის ქალაქ ჩონგქინგში გამართული ფიგურული სრიალის გრან-პრის გამარჯვებული ანასტასია მეტელკინასა და ლუკა ბერულავას წყვილი გახდა.**

ქართულმა დუეტმა ორი პროგრამის ჯამში 217.24 ქულა დააგროვა და ოქროს მედალი არავის დაუთმო. ვერცხლი იტალიელებმა, ხოლო ბრინჯაო ჩინელებმა დაისაკუთრეს. აღსანიშნავია, რომ მეტელკინა-ბერულავას წყვილმა სპორტული დუეტების მოკლე პროგრამაში კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი დააფიქსირა, ხოლო თავისუფალ პროგრამაში 139.47 ქულა დაიმსახურა. ამავე ტურნირზე საქართველოს სახელით მოასპარეზე **ანასტასია გუბანოვა** მე-4 ადგილზე გავიდა.

* * *

**ნატურალიზებულ ბრაზილიელ ლეგიონერებთან დაკავშირებული სკანდალის გამო თითქოს კრიზისი უნდა დაგვწყებოდა, მაგრამ ჩვენში ფუტსალს ისეთი მდიდარი ტრადიციები ასაზრდოებს, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში მხოლოდ საკუთარი ძალებით გაისად 21 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით ზედიზედ მეორედ ვითამაშებთ. მომავალ ფორუმს 3 მასპინძელი ჰყავს – სლოვენია, ლიეტუვა და ლატვია.**

ამ დღეებში გამართული წილისყრით გაირკვა, რომ **ავთანდილ ასათიანის** გაწვრთნილ ჭვაროსნებს ჯგუფში, რომელიც რიგაში შეიკრიბება, მეტოქეებად ადგილობრივი, ხორვატეთისა და საფრანგეთის ნაკრებები ეყოლება, ხოლო პლეი-ოფში აღნიშნული კვარტეტიდან 2 საუკეთესო გუნდი გავა.

შეგახსენებთ, რომ სამფეროვნებთან შარშანდელი შესარჩევი ციკლის 2 შეხვედრა უარყოფითი ბალანსით (წაგება და ფრე) დავასრულეთ, მთლიანობაში კი, ვფიქრობთ, დანარჩენებთან მეორე საგზურისთვის ბრძოლაში ფავორიტები ვართ.

* * *

**სახელოვანმა ქართველმა ძიუდოისტმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა თემურ ხუბულურმა ტელეიმედის ამასწინანდელ დილის საინფორმაციო პროგრამაში სტუმრობისას ჩვენი ეროვნული საუნჯის შესახებ განაცხადა, რომ მთელი კარიერის განმავლობაში მეტოქეებს მუსრს დგომში ავლებდა.**



ვის, თუ არა ნახერხმოყრილი სარბიელის რაინდ ფალავანსა და ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, ტყუილიც კი დაეჯერება – ორთაბრძოლების სპორტულ სახეობებში მიღწეული ჯვაროსანთა წარმატებები მნიშვნელოვანწილად სწორედ ზურნა-დუდუკის თანხლებით სოფელში ტოლ-სწორებთან ბავშვობიდანვე წრთობის წლებს უკავშირდება, ოღონდ ამჯერად გათანამედროვებულ და გადედაქალაქებულ ვარიანტზე უნდა შევაჩეროთ თქვენი ყარადღება.

დიახ, საუბარია ახალ სპორტის სასახლეში 25 ქვეყნის 100 სტუმრის მონაწილეობით გამართულ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე ქართულ ჭიდაობაში. შეიძლება, ზოგს ყური მოსჭრა ასეთმა წინადადებამ, მაგრამ მათ გასაგონად ვიტყვით, რომ, ალბათ, დავაგვიანეთ კიდეც და სამამულო განძი, რომელიც იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა, საერთაშორისო ასპარეზზე აქამდეც უნდა გაგვეტანა, მით უმეტეს მაშინ, როცა, მაგალითად, ყაზახური კურაში იქ უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა. ასეა თუ ისე, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და სიამაყით გამცნობთ, რომ ისტორიული სადებიუტო ფორუმის გამარჯვებული ძიუდოში ჩვენი ოლიმპიური იმედი **საბა ინანეიშვილი** გახდა, რომელმაც ფინალში მონღოლი დომენბაიარი დაჯაბნა. ჩვენში რომ ვთქვათ, სამართალმა პური ჭამა, ტიტული რომ სამშობლოში დავიტოვეთ, თანაც ფალავანთა ფალავანს 20 ათასი დოლარი ვუფეშქაშეთ.

* * *

**პარი სენ-ჟერმენს ნელ-ნელა უბრუნდებიან გამოჯანმრთელებული ლიდერები (რუისის გარდა) და საფრანგეთის ლიგა – 1-ის სატურნირო ცხრილის სათავემაც ბოლო წლებისთვის ტრადიციული სახე შეიძინა – სტუმრად ბრესტის 3:0 დაჩოქების შემდეგ ერთტურიანი შესვენება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ლუის ენრიკეს გაწვრთნილი გუნდი წამყვან პოზიციაზე გამწესებულიყო, რადგან მარსელი ლანსთან 1:2 დამარცხდა.**

ჩვენ, ბუნებრივია, გამორჩეულად **ხვიჩა კვარაცხელიას** თამაში გვაინტერესებს და მანაც დუბლის ავტორ ჰაკიმს მეორე გოლის დროს საშინაო სეზონში პირველი ასისტენტობა გაუწია.

წარმატებით განაგრძობს ვილიარეალის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას **ჟორჟ მიქაუტაძე,** რომელმაც ვალენსიურ დერბიში აქტიური მონაწილეობა მიიღო მესტალიას ბინადართა კარში გატანილ მეორე ბურთში – 2:0. ამ გამარჯვებით **მარსელინიოს** შეგირდებმა ლა ლიგის სატურნირო ცხრილში მესამე პოზიცია განიმტკიცეს. სამწუხაროდ, გაჭიანურდა ლივერპულის კრიზისი, რაც ავტომატურად აისახება **გიორგი მამარდაშვილის** ადაპტაციის არადამაჯერებელ პროცესზე. ამჯერად მერსისაიდელები ბრენტფორდთან დამარცხდნენ – 2:3 და მეთოდურად შორდებიან პრემიერლიგის ბობოლათა ჯგუფს.

* * *

**იშვიათად, რომ საკალათბურთო ევროლიგის მორიგმა სათამაშო დღემ ქართული დერბის გარეშე ჩაიაროს. გამონაკლისს არც რეგულარული სეზონის მე-6 ტური წარმოადგენდა, რომელშიც ბარსელონამ ჟალგირისს უმასპინძლა და ტურნირში მე-3 მარცხი განიცადა – 73:88.**

შეგახსენებთ, რომ სტუმართა მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ცნობადი სახის – **თიკა ფაცაციას** ვაჟი **ანდრო ანთელიძე** გახლავთ, ხოლო კატალონიური გრანდის ახალმა ლიდერმა – **თორნიკე შენგელიამ** ამჯერადაც ღირეული მონაგრით დაასრულა მატჩი – სასტარტო ხუთეულის წევრმა 21 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა და 3 ასისტი მოაგროვა, მაგრამ პარტნიორებს მაინც ვერ უშველა. 28 ოქტომბერს მისი გუნდი ისევ შინ იტალიურ მილანს შეხვდება.

**სატურნირო მდგომარეობა:** ჰაპოელი – 5, პანათინაიკოსი, ჟალგირისი, ცრვენა ზვეზდა, ვირტუსი, პარიზი, ოლიმპიაკოსი – 4, პარტიზანი, მონაკო, რეალი, ბარსელონა, ვალენსია, დუბაი, ფენერბაჩხე – 3, ეფესი, ბაიერნი, მილანი, ლიონი, მაკაბი – 2, ბასკონია – 0 მოგება.



# არ შეშინდეთ, ასე გააგრძელეთ, ბატონო მამუკა და გეკა!



**ხორცმეტთა საუფლოში – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ საყოველთაო გნიასია – „რუსული ოცნება“ კორუფციის ჭაობში რომაა ჩამხრჩვალი, უკვე ვეღარც მალავს და ერთმანეთის მიყოლებით ერეკება პირის აბანოსკენ საკუთარი ძირმომპალი ხელისუფლების ყოფილ თუ მოქმედ მაღალჩინოსნებსო.**

**კი ბატონო – ფაქტი ჯიუტია და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ყველას დამსახურებისამებრ უნდა მიეზღოს კანონით გათვალისწინებული სასჯელი, მაგრამ...**

**დიახ,** კოლექტიურ უსამშობლოთა კასტას რატომღაც ავიწყდება, უფრო სწორად, ცდილობს მოგვაჩვენოს, რომ დაავიწყდა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი კარგად უწყის, რომ ელიტურ კორუფციას დაუნდობელი ბრძოლა დაახლოებით 2 წლის წინათ, პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე, სწორედ მმართველი პარტიის დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ **ბიძინა ივანიშვილმა** გამოუცხადა, ძე შეცთომილთა დაგორებული თავები კი პრევენციულ ზომად უნდა განვიხილოთ, ბინძური ფულის მახეში სხვა თანამდებობის პირებიც რომ არ გაებან.

ასეთი რეალობა ძალაუნებურად 9-წლიანი ვარდ-ყვავილოვანი რეჟიმისდროინდელ მსგავს ფაქტებს გვახსენებს, როცა თემიდა მხოლოდ მაშინდელი ოპოზიციისთვის გახლდათ მომართული სამართლიანი განაჩენის გამოსატანად, რაც ხშირად, სხვათა დასაშინებლად, გაცილებით მკაცრ ვერდიქტში გადაზრდას გულისხმობდა, თუმცა არც ის მარაზმი გვავიწყდება, მაგალითად, რკინიგზის შეფის, ბატონ **აკაკი ჩხაიძის** სახით, როცა ძალაუფლებით დაბანგული ჰალსტუხიანი ყაჩაღები პრაქტიკაში მილიონების დაყაჭვის დანერგვას ცდილობდნენ, თანაც – საკმაოდ წარმატებითაც.

დავიჯეროთ, იმ „საამურ“ წლებში ამა ქვეყნის ძლიერთაგან არავის წასცდენია ხელი უკეთურობისკენ? ჰაი-ჰაი, რომ წასცდენია, მაგრამ ფიურერ სააკოვის მრისხანება – ყველანი ციხეში! – მხოლოდ სინამდვილეში ფაშისტური „დემოკრატიის შუქურის“ მტრებზე ვრცელდებოდა, მისი, ანუ „ჩვენი ძაღლიშვილები“ კი ხელშეუხებელნი იყვნენ და რჩეულის ჯავშნით სარგებლობდნენ.

და მაინც, როგორ დავარწმუნოთ ურწმუნო თომები, რომ **ბურჭულაძე, მიქაუტაძე, ლილუაშვილი, ფარცხალაძე** და თვით **ღარიბაშვილიც** კი პიარ-კამპანიის მსხვერპლნი როდი არიან – მათ კონკრეტული ეკონომიკური ცოდვები ამძიმებთ და სამართლიანად მოხვდნენ კრიმინალურ ქრონიკაში.

ალბათ, აღნიშნულ სენსიტიურ კითხვას პასუხიც ისეთი უნდა გაეცეს, ფართო საზოგადოების ცხოველ ინტერესს რომ დააკმაყოფილებს. ჰო და, კეთილი ინებონ, როგორც **მამუკა მდინარაძის,** ისე **გეკა გელაძის** უჩვეულოდ მოკლე დროში საოცრად გამკაცრებულმა უწყებებმა და, ბოლოსდაბოლოს, კეისარს კეისრისა მიუზღან.

**ვფიქრობ, მიმხვედრი მიხვდება, ხოლო თუ მაინცდამაინც აუცილებელია ფრჩხილის გახსნა, ვაკონკრეტებ სათქმელს: ბატონებო! ის მტვერწაყრილი საქაღალდეები, ყბადაღებული 9-წლიანი სისხლიანი პერიოდის შემოქმედთა მსგავსი პროფილის ულმერთობებს რომ ინახავენ, აწი მაინც ჩამოიღეთ თაროებიდან და ნურავის შეარჩენთ ხახვივით თუნდაც ახლო წარსულის, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომებს. სხვა თუ არაფერი, იმედია, მალე ჯიბის არაკეთილსინდისიერი გზით გამსქელებელთა საგრალდებო სკამზე გამწესებაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ობიექტური გადაწყვეტილებაც დაგეხმარებათ, რომელმაც პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის გახმაურებული სარჩელი უნდა განიხილოს და, წესით, პოლიტიკასა და არასამთავრობო სექტორში თავშეფარებული აგენტურული ძალები აკრძალოს! ამას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, მავანთაგან ჩადენილ დანაშაულთა ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად!**

გია პლატონიშვილი




# ათასობით მედიკამენტს რეგისტრაცია შეუჩერდა - გაჩნდება თუ არა ბაზარზე დეფიციტი?



**ჯანდაცვის სამინისტრომ 3000-მდე მედიკამენტის რეგისტრაციის პროცესი გააჩერა GMP სერტიფიკატის წარუდგენლობის გამო. ამან, შეიძლება, საცალო ქსელში ზოგიერთი დასახელების წამლის დეფიციტი გამოიწვიოს. სააფთიაქო ქსელებს მარაგი ჯერჯერობით აქვთ, მაგრამ სამომავლოდ იმპორტის საკითხი, დღევანდელი გადასახედიდან, ბუნდოვანია.**

**ცვლილება უკავშირდება 1 ოქტომბრიდან ამოქმედებულ ახალ რეგულაციას, რომლის თანახმადაც, საქართველოში დასარეგისტრირებელ ან ხელახალი რეგისტრაციის გამვლელ ყველა პრეპარატს უნდა გააჩნდეს ევროპული (Good Manufacturing Practice) სტანდარტის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი – როგორც საბოლოო პროდუქტზე, ისე მის წარმოებაში გამოყენებულ სუბსტანციებზე.**

ახალი წესის თანახმად, ევროპული GMP-ის გარეშე, ქვეყანაში აღარ დაიშვება არც მედიკამენტის სუბსტანციის იმპორტი. მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა, როგორც ადგილობრივი ფარმაცევტული მწარმოებლებისთვის, ასევე იმპორტიორი და დისტრიბუტორი კომპანიებისთვის.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეგულაციის მიზანი ბაზარზე მედიკამენტების ხარისხის კონტროლის გამკაცრება და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაა. საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან გოგიბერიძე ამბობს, რომ კომპანიებს საკმარისი მარაგები აქვთ, ამიტომ ბაზარზე წამლის დეფიციტის შექმნის რისკი არ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ ფარმაცევტული კომპანიები რეგულატორს მოთხოვნილ ევროპულ GMP-ს კონკრეტული დასახელების მედიკამენტების რეგისტრაციისთვის ვერ წარუდგენენ, მიდის მუშაობა აღნიშნული წამლები ალტერნატიული მედიკამენტებით ჩანაცვლდეს.

**„ეს ადრეც იყო ცნობილი ჩვენი სექტორისთვის, ამაზე კომპანიები უკვე მუშაობდნენ. ისინი მუშაობენ არა მარტო ალტერნატიული მედიკამენტების მოძიებაზე და მოწოდებაზე, არამედ საუბარია თვითონ იმ მწარმოებელ კომპანიებზე, რომლებიც აწარმოებენ იმ მედიკამენტებს, რომელსაც ამ ეტაპისთვის GMP-ის შესაბამისობის სერტიფიკატი არ გააჩნია.**

**არის ჩამონათვალი იმ მედიკამენტების, რომელთა ჩანაცვლება აუცილებელი გახდება, იმიტომ რომ არიან ისეთი ქვეყნის წარმომადგენლები, სადაც ევროპული GMP, ფაქტობრივად, არ მოქმედებს და ძნელია იქ ამის შემოწმება და დადასტურებაც, თუმცა, რა თქმა უნდა, სექტორი მუშაობს ალტერნატიულ გზებზე.**

**არსებული მარაგები არის საკმაო იმისთვის, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ის მედიკამენტები, რომელსაც რეგისტრაცია შეუჩერდათ, ჯერ კიდევ იყოს აფთიაქებში წარმოდგენილი და შემდგომ უკვე ან ისინი დააკმაყოფილებენ პირობებს, ან ჩანაცვლდება სხვა ალტერნატიული მედიკამენტებით. ასე რომ, საშიშროება და პანიკა მოსახლეობისთვის, რომ რაღაცა მიმართულებით მედიკამენტები გაქრება, ასეთი არ იქნება. ამაზე სექტორი მუშაობს ძალიან ინტენსიურად“,** – აცხადებს **ლევან გოგიბერიძე.**

მისი თქმით, მსგავსი მოთხოვნები ევროპის ძალიან ბევრი ქვეყნის რეგულატორსაც არ აქვს, შესაბამისად, ძალიან რთული მოსაძიებელია ისეთი ქარხნები, რომლებსაც აქვთ ევროპული შესაბამისობის სტანდარტი სუბსტანციის წარმოებაზე.

**„ევროპაშიც ასეთი რთული მოთხოვნა, რომ მაინცდამაინც სუბსტანციას, თუ ბალკს, რისგანაც მზადდება პროდუქტი, აუცილებლად უნდა ჰქონდეს GMP სერტიფიკატი კედელზე გაკრული, ასეთი არ არსებობს. უნდა იყოს შესაბამისობაში GMP სტანდარტთან სუბსტანციის მწარმოებლის მდგომარეობა, მაგრამ ის, რომ მაინცდამაინც უნდა ჰქონდეს ევროპის GMP, ასეთი მკაცრი მოთხოვნა ევროპაშიც არ არსებობს“,** – განმარტა „საქმის კურსთან“ **ლევან გოგიბერიძემ.**

* * *

**მიმდინარე წლის 8 თვეში, საქართველომ 451.5 მლნ დოლარის 10 019 ტონა დაფასოებული სამკურნალო საშუალებები შეიძინა. ეს წლის ჭრილში, 8.5%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.**

აღსანიშნავია, რომ დაფასოებული სამკურნალო საშუალებები ქვეყნის იმპორტში მეოთხე უმსხვილესი სასაქონლო კატეგორიაა, მთლიან იმპორტში 3.8%-იანი წილით.

2025 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოსთვის მედიკამენტების ნომერ პირველი საიმპორტო პარტნიორი თურქეთია, რომელსაც გერმანია და უნგრეთი მოსდევს. საგულისხმოა, რომ მედიკამენტები ექსპორტზეც გადის და მეცხრე ადგილზეა უმსხვილეს საექსპორტო საქონელს შორის, თუმცა ეს არა ადგილობრივ ექსპორტს, არამედ რეექსპორტს წარმოადგენს.

**8 თვეში, მედიკამენტების ექსპორტმა 80.3 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 7.1%-იანი ზრდაა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და მთლიანი ექსპორტის 1.8%-ს შეადგენს. აქედან 80%-ზე მეტი სწორედ რეექსპორტი იყო.**

**ბექა დანელია**

## ავარიას 19 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა!

სამტრედია-აბაშის გზაზე 24 ოქტომბერს მომხდარი უმძიმესი ავარიის შედეგად, 19 წლის ახალგაზრდა ბიჭი კლინიკაში გარდაიცვალა. მას სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები ჰქონდა.



**„ტრაგედია ტრიალებს... დაღუპული 19 წლის ახალგაზრდაა... ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა. გამძლეობა ოჯახს“,** – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

შეგახსენებთ, სამტრედია-აბაშის მონაკვეთზე უმძიმესი ავარია მოხდა. თვითმხილველის თქმით, ერთმანეთს ოთხი ავტომობილი შეეჯახა. დაშავდა ათი პირი, მათგან შვიდი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებმა სხვადასხვა კლინიკაში გადაიყვანეს, სამს კი დახმარება ადგილზე გაეწია.გარდაცვლილი ახალგაზრდის მეუღლე საავადმყოფოში გადაიყვანეს,მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმედ რჩება.

## ვინ მოკლა მურა დათვი?!

**წითელ წიგნში შეტანილი მურა დათვის მოკვლის კადრები სოციალურ ქსელში ვირუსულად გავრცელდა – გარემოს დაცვის დეპარტამენტი ბრაკონიერის მიმართ გამოძიების დაწყებას გეგმავს.**

უკანონო ნადირობა – კადრები, რომელმაც მოქალაქეების აღშფოთება გამოიწვია, სოციალურ ქსელში ვირუსულად გავრცელდა. ვიდეოში ჩანს, როგორ კლავს ტყეში უცნობი პირი წითელ წიგნში შეტანილ მურა დათვს. ჩანს თოფიც, საიდანაც მან ცხოველს რამდენჯერმე ესროლა.

ფაქტზე, სავარაუდოდ, გამოძიება დაიწყება. გარემოს დაცვის დეპარტამენტმა შესაბამის უწყებებს უკვე მიმართა. გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის, მამაკაცს, დაახლოებით 50 000-ლარიანი ჯარიმაც დაეკისრება.

## ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელსაც თავს დაესხნენ, კლინიკაში გარდაიცვალა



**ახალგაზრდა მასწავლებელი, 26 წლის გიგა ავალიანი, რომელსაც თავს დაესხნენ, კლინიკაში გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, მას თემქაზე ჩაუსაფრდნენ, სცემეს და თავის არეში უმძიმესი დაზიანებები მიაყენეს.**

შსს-მ მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

## აყვანილია პედოფილი, რომელიც 12 წლის გერთან და ნათესავ გოგონასთან სქესობრივ დანაშაულშია მხილებული!

**30 წლის მამაკაცი თბილისში, საკუთარ სახლთან გამთენიისას აიყვანეს. ახალგაზრდა კაცი გერის და კიდევ ერთი არასრულწლოვანი ნათესავის მიმართ სქესობრივ დანაშაულშია მხილებული. პოლიცია ბრალდებულის საცხოვრებელ მისამართზე რამდენიმე საათი იყო მობილიზებული. ადგილზე ჩატარდა ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები.**

ორივე დაზარალებული 12 წლის გოგონაა. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებული გერს და ახლო ნათესავს თვეების განმავლობაში სექსუალური ხასიათის ქმედებებს აიძულებდა. „კურიერის“ ინფორმაციით, არასრულწლოვანებთან სექსუალურ ქმედებებს 30 წლის მამაკაცი ტელეფონით იღებდა. მის მობილურში სამართალდამცველებმა ინტიმური შინაარსის არაერთი ვიდეოჩანაწერი აღმოაჩინეს. 14 წლის ასაკს მიუღწეველთან გარყვნილი და სექსუალური ხასიათის ქმედებისთვის მას 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## თერჯოლაში 4 წლის ბავშვი გარდაიცვალა

**თერჯოლაში, 4 წლის ბავშვი გლანდების ოპერაციის შემდგომი გართულებით გარდაიცვალა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „ინფო იმერეთი“ ავრცელებს.**

ცნობილია, რომ ოპერაციის შემდეგ ბავშვი სახლში გამოწერეს, რის შემდეგაც მდგომარეობა გართულდა და დედამ ისევ საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც გარდაიცვალა.

## ანდრია ლილუაშვილს პატიმრობა შეეფარდა

**განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავებულ ანდრია ლილუაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.**



გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ **ნანა შამათავამ** გამოაცხადა. ანდრია ლილუაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# სოფელ ბარდნალაში ლადო ასათიანის განახლებული ექსპოზიცია გაიხსნა

**ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია გაიხსნა.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, პროექტი ლადო ასათიანის ოჯახისა და ცაგერის ისტორიული მუზეუმის ინიციატივით განხორციელდა. სახლ-მუზეუმის განახლებული კონცეფციის ავტორია **აკა მორჩილაძე.** განახლებული მუზეუმი საზეიმო ღონისძიებით გაიხსნა, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ცაგერის ისტორიული მუზეუმის დირექტორი **ნატო ზაქარიაძე.**

**ღონისძიებას ესწრებოდნენ: პოეტის ოჯახის წევრები, ცაგერის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, მოწვეული სტუმრები. მუზეუმის რენოვაციის პროექტი მწერალ აკა მორჩილაძის კონცეფციით და ხელოვნების ისტორიის დოქტორის, მარიამ კაკაბაძის კურატორობით, „თიბისი“ ბანკის დაფინანსებით და ცაგერის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა.**



**ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი ბარდნალაში დაარსდა 1971 წელს და უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ლეჩხუმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. სწორედ აქ გაატარა პოეტმა ბავშვობა და სიყმაწვილე – გარემოში, რომელმაც დიდი კვალი დატოვა მის შემოქმედებაში.**

მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია მიზნად ისახავს პოეტის პიროვნებისა და შემოქმედების ავთენტიკურ, ცენზურისგან თავისუფალ წარმოდგენას. ახალი კონცეფცია აქცენტს აკეთებს ასათიანის ოჯახის ისტორიაზე, საბჭოთა ეპოქის რეალობასა და იმ პირად ტრაგიზმზე, რომელიც პოეტის ცხოვრებას თან სდევდა.

**„განახლებული მუზეუმი ერთდროულად წარმოგვიდგენს როგორც ლადო ასათიანის შემოქმედებით სამყაროს, ასევე იმ გარემოს, რომელშიც ის ცხოვრობდა, დასავლურ-ქართული ყოფის, შინაური ატმოსფეროსა და ლეჩხუმური კულტურის ელემენტებით.**

**განახლებული ექსპოზიცია მოიცავს ფოტოებს, დოკუმენტებს, საარქივო მასალას, წიგნებსა და პირად ნივთებს, რომელიც პოეტის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს ასახავს. პროექტის მიზანია ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი იქცეს არა მხოლოდ მემორიალურ ადგილად, არამედ ცოცხალ კულტურულ სივრცედ, რომელიც აერთიანებს წარსულსა და თანამედროვეობას“.**

# „ამბები დიმიტრი ყიფიანზე — ის, ვინც მთავარია!..“

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის თეატრში თეატრალური წარმოდგენა „ამბები დიმიტრი ყიფიანზე – ის, ვინც მთავარია“ გაიმართა.**

მე-19 საუკუნის დიდი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების შესახებ თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ ისაუბრა.

**საღამოზე მაყურებლის წინაშე წარდგნენ: გორის ქალთა კამერული გუნდი, ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“, მომღერლები – მაია ჯაბუა და ეკა კახიანი, მსახიობები – ბუკა თოლორდავა და გია აბესალაშვილი.**

**ღონისძიებას კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო.**

**„დიმიტრი ყიფიანი ჩვენი ისტორიისთვის უდიდესი სახელია. მადლობა შემოქმედებით ჯგუფს, რომელმაც შესანიშნავი ფორმით შეგვახსენა, თუ რამხელა ისტორიისა და კულტურის ქვეყანა ვართ“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**






# „მუსიკალური ბათუმი ათენში“

**საბერძნეთში, „მარია კალასის“ სახელობის ისტორიულ თეატრში გაიმართა ქართული გალა კონცერტი – „მუსიკალური ბათუმი ათენში“.**

აჭარის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიურმა ორკესტრმა, მაესტრო დავით მუქერიას დირიჟორობით და სოლისტებმა ააჟღერეს ცნობილი ქართველი კომპოზიტორების შედევრები. ღონისძიებას 48 ქვეყნის ელჩი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**გალა კონცერტი მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ბერძენის, დიდი მაესტროს ოდისეი დიმიტრიადის ხსოვნას. პროექტი განხორციელდა აჭარის კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, საბერძნეთში საქართველოს საელჩოსა და ათენის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციის „ოპანდა” მხარდაჭერით.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის კულტურის მინისტრი **ელისო ბოლქვაძე,** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთში **ლევან ბერიძე,** აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე **ირმა აბულაძე,** ათენის მერიის გენერალური მდივანი **ასილის ბოკოსი** და მოწვეული სტუმრები.

# ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ვახტანგ VI-ის სტამბაში 1720 წელს დაბეჭდილი „რვახმათა“, ანუ „პარაკლიტონი“ აღადგინა

**ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილებამ ვახტანგ VI-ის სტამბაში 1720 წელს დაბეჭდილი „რვახმათა“, ანუ „პარაკლიტონი“ აღადგინა.**

**„ჩვენი განყოფილების თანამშრომელმა ნინო ჩიმაკაძემ გამოცემისთვის ტყავის ორნამენტებიანი ყდა დაამზადა. ტყავი დამუშავდა და გაფორმდა ზუსტად ისე, როგორც მზადდებოდა ძველნაბეჭდი წიგნების ყდები. „პარაკლიტონის“ ყდაზე ახლადშეძენილი კლიშეებით პირველად ამოიტვიფრა ორნამენტები და ეს მცდელობა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ასევე აღდგა გამოცემის ფურცლები, მანამდე კი გაიწმინდა და დეზინფექცია ჩაუტარდა ყველა ფურცელს. რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესი წარმატებით დასრულდა“,** – განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების რესტავრაციისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსმა **გიული პაქსაშვილმა.**





# გიორგი ბრწყინვალის 15 ნომერში მდებარე სადარბაზო მუზეუმად განახლდა!

**სივრცეში განთავსებულია ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის სამლოცველო, ილია მართლის ბიბლიოთეკა, ყოველთა წმინდათა სახელობის მუზეუმი, პოეზიისა და ძველი თბილისის კუთხე.**

ასევე, მუზეუმში წარმოდგენილია საქართველოს ისტორია, ფიროსმანისა და გუდიაშვილის ნამუშევრები, რომელიც ქვეყნის წარსულსა და სულიერ მემკვიდრეობას ასახავს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 29 ოქტომბერს**